პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 31-ე წელი

სამშაბათი, 11 ივლისი, 1950 წ. № 148 (8708). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

საბჭოთა პროფკავშირების საბრძოლო ამოცანა — „პრავდის" 10-VII მოწინავე (1-ლი გვერდი).

მშვიდობისადმი ერთგულების მკაფიო დემონსტრაცია (1-ლი გვერდი).

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეთა ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ (მე-2 გვერდი).

საბჭოთა მთავრობის ნოტა ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებისადმი ტრიესტის საკითხზე (მე-2 გვერდი).

პროფესორი ნინო ციციშვილი — დიდი მეცნიერი (მე-3 გვერდი).

უნივერსიტეტის [illegible] (მე-3 გვერდი).

საომარი მოქმედებები კორეაში (მე-4 გვერდი).

ხელები შორს კორეისაგან! (მე-4 გვერდი).

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პარლამენტის ჯგუფი საფრანგეთის მთავრობის კრიზისის შესახებ (მე-4 გვერდი).

საბჭოთა პროფკავშირების საბრძოლო ამოცანა

პატრიოტული აღმავლობის ვითარებაში მიმდინარეობს ჩვენს ქვეყანაში ატომური იარაღის აკრძალვის მოწოდებაზე ხელმოწერის შეგროვების კამპანია. ამ დღეებში საბჭოთა ადამიანები ცხადყოფენ თავიანთ ურღვევ მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობას, თავიანთ ურყევ მისწრაფებას მშვიდობისადმი. მთელი ჩვენი ხალხი აღსავსეა უდიდესი მადლობით ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა მთავრობის, დიდი სტალინისადმი მშვიდობიანი საგარეო პოლიტიკის თანმიმდევრული განხორციელებისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებაზე დაუღალავი ზრუნვისათვის. საბჭოთა კავშირის ხალხთა მძლავრი ხმა მშვიდობის დასაცავად გაისმის მთელ დედამიწაზე, ახალ ძალებს მატებს მშვიდობის მომხრეებს, ნერგავს ყველა ხალხის გაერთიანებული ძალ-ღონით ახალი ომის თავიდან აშორების შესაძლებლობის რწმენას.

ატომური იარაღის აკრძალვის მოწოდებაზე ხელმოწერის შეგროვებაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ სსრ კავშირის საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მათ შორის პროფესიული კავშირები—ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის მასობრივი ორგანიზაცია. პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ მხურვალედ დაუჭირა მხარი მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის გადაწყვეტილებას და თავის მიმართვაში მუშების, მოსამსახურეებისა და ინტელიგენციისადმი მოუწოდა პროფკავშირების ყველა წევრს, ყველა მშრომელს ერთსულოვნად მოაწერონ ხელი მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის მოწოდებას და ამით ერთხელ კიდევ ცხადყონ თავიანთი მისწრაფება მშვიდობის შენარჩუნებისადმი მთელ მსოფლიოში.

სსრ კავშირის გმირი მუშათა კლასი დიდი ერთსულოვნებით აძლევს ხმას მშვიდობას. ქალაქებსა და მუშათა დაბებში, ქარხნებსა და ფაბრიკებში, შახტებსა და მაღაროებში, მშენებლობებსა და ნავთის სარეწებზე — ყველგან მიმდინარეობს ატომური იარაღის აკრძალვის მოწოდებაზე ხელმოწერის შეგროვება. კრებებზე თავიანთ გამოსვლებში მუშები და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები აცხადებენ, რომ ისინი ერთსულოვნად ისწრაფვიან დაიცვან მშვიდობის დიადი საქმე.

— სულით და გულით მოვაწერ ხელს სტოკჰოლმის მოწოდებას, — ამბობს მოსკოვის ფაბრიკა „პარიზის კომუნის" მუშა ლიდია კორაბელნიკოვა. — მინდა მადლობა გადავუხადო მშვიდობის დამცველს მთელ მსოფლიოში ამხანაგ სტალინს, ჩვენს დიდ ბელადს, რომელიც ზრუნავს, რომ ყველა ხალხი ცხოვრობდეს მეგობრობასა და მშვიდობაში, იყოს ბედნიერი. საბჭოთა ადამიანები ომის წინააღმდეგი არიან. ჩვენ გვსურს სტახანოვურად ვიშრომოთ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ, რათა იგი უფრო ძლიერი და უფრო მშვენიერი გახდეს. სხვა ქვეყნებშიც ყველა პატიოსან ადამიანს არ სურს ომი. ისინი ჩვენთან არიან, ჩვენ კი მათთან. და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მშვიდობა გაიმარჯვებს ომზე.

პროფესიული კავშირები დიდ მუშაობას ეწევიან მუშა-მოსამსახურეთა შორის, მათი ოჯახის წევრებს შორის, რათა განუმარტონ გაჩაღებული კამპანიის უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა. სტოკჰოლმის მოწოდებაზე ხელმოწერის შეგროვებაში, მასობრივ ახსნა-განმარტებით მუშაობაში მონაწილეობს პროფკავშირების მილიონობით აქტივისტი.

დღითიდღე მშვიდობის დასაცავად ხელმოწერის შეგროვების კამპანია სულ უფრო ფართო მასშტაბს იღებს. ამოცანა ის არის, რომ მშრომელთა ფართო მასებს გავაცნოთ თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობა, მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის მიზნები და ხასიათი. ლექციებში, მოხსენებებში, საუბრებში უნდა ვუჩვენოთ, თუ როგორ იზრდება და ფართოვდება მშვიდობის დაცვის მოძრაობა ყველა ქვეყანაში.

პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობის მოსაწყობად საბჭოთა პროფკავშირებს უმდიდრესი შესაძლებლობა აქვთ. მათ აქვთ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების — კლუბების, კულტურის სახლების, წითელი კუთხეების, ბიბლიოთეკების ფართო ქსელი. პროფკავშირული ორგანიზაციები მოვალენი არიან გამოიყენონ საგიტაციო მუშაობის მრავალფეროვანი ფორმები, სტოკჰოლმის მოწოდებაზე ხელმოწერის შეგროვებისათვის აქტიურ საქმიანობაში ჩააბან მუშები, ინჟინრები, მოსამსახურეები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები.

საპატიო და კეთილშობილურია ეს სამუშაო. ჩვენს ქვეყანაში, რომელიც თანმიმდევრულად ახორციელებს მშვიდობის სტალინურ პოლიტიკას, არ უნდა იყოს არც ერთი კაცი, რომელიც მონაწილეობას არ მიიღებს მშვიდობის დაცვის დიად მოძრაობაში. თვითეული საბჭოთა მოქალაქის ვალია ხელი მოაწეროს მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის მოწოდებას და ამით თავისი წვლილი შეიტანოს მშვიდობისათვის ბრძოლის საერთო საქმეში.

მოწოდებაზე ხელმოწერით ჩვენი ქვეყნის ქალაქებისა და სოფლების მშრომელები უფრო მაღლა სწევენ საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრების დროშას, შრომითი საგმირო საქმეებით განამტკიცებენ სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერებას. საბჭოთა ადამიანებს ღრმად აქვთ შეგნებული, რომ რაც უფრო ძლიერი იქნება საბჭოთა კავშირი, მით უფრო მნიშვნელოვანი იქნება მისი როლი საერთაშორისო ასპარეზზე, მით უფრო უზრუნველყოფილი იქნება მშვიდობის საქმე მთელ მსოფლიოში.

სეროვის მეტალურგიული ქარხნის საბრძმედე საამქროს ოსტატმა ამხ. ტრიფონოვმა გამოხატა საბჭოთა მუშების აზრები და გრძნობები და განაცხადა:

— სტახანოვური შრომა მშვიდობისათვის ბრძოლაა. ჩვენი საწარმოს კოლექტივმა ვადამდე შეასრულა ნახევარი წლის გეგმა მთელ მეტალურგიულ ციკლში. ხელს ვაწერთ რა სტოკჰოლმის მოწოდებას, ჩვენ გავაათკეცებთ ჩვენს ძალღონეს და ვიზრუნებთ, რომ მივცეთ ჩვენს ქვეყანას მეტი ლითონი.

კეთილშობილური პატრიოტული მისწრაფებით—განამტკიცონ და გააძლიერონ საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერება — აღსავსეა მილიონობით მშრომელის გული. ქარხნებისა და ფაბრიკების, შახტებისა და მაღაროების კოლექტივები კისრულობენ ვადამდე შეასრულონ საწარმოო გეგმები. თავიანთ სოციალისტურ ვალდებულებას ისინი განამტკიცებენ თავდადებული შრომით. მშვიდობის სტახანოვურ ვახტზე დადგნენ მოსკოვისა და ლენინგრადის, დონბასისა და ურალის, ჩვენი ქვეყნის მრავალი ინდუსტრიული ცენტრის მოწინავე საწარმოთა კოლექტივები. უფრო ფართოდ ჩაღდება მოძრაობა წარმოებაში მომჭირნეობისათვის, საუკეთესო ხარისხის პროდუქციის გამოშვებისათვის. ძლიერდება ბრძოლა ტექნიკური პროგრესისათვის, მტკიცდება მეცნიერებისა და წარმოების მუშაკთა შემოქმედებითი თანამეგობრობა.

საკავშირო პროფსაბჭოს ამასწინათ შემდგარმა პლენუმმა განიხილა საკითხები, რომლებსაც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვთ პროფესიული კავშირების მთელი მუშაობისათვის. პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილებები ენერგეტიკოსთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების შესახებ, სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების მუშაობის შესახებ, მუშებსა და მოსამსახურეებში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების შესახებ.

საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმმა განიხილა მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის მოწოდებაზე ხელმოწერის შეგროვებაში პროფკავშირთა მონაწილეობის საკითხი და მიიღო მიმართვა პროფესიული კავშირების ყველა წევრისადმი, დაავალა პროფკავშირულ კომიტეტებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ ხელმოწერის შეგროვების კამპანიაში.

მშვიდობისათვის, ახალი ომის იმპერიალისტ გამჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლაში საბჭოთა პროფკავშირები გამოდიან უცხოეთის ქვეყნების პროფკავშირებთან ერთად, რომლებიც გაერთიანებული არიან პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციაში — მუშათა კლასის ბრძოლისუნარიან საერთაშორისო ორგანიზაციაში. ყველა ქვეყნის მშრომელები თავიანთ რიგებს რაზმავენ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშის ქვეშ, მთელ მსოფლიოში მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობისათვის ბრძოლის დროშის ქვეშ.

მშვიდობის ძალები განუწყვეტლივ იზრდებიან, მშვიდობისათვის ხმის მიცემით ყველა ქვეყნის კეთილი ნების მილიონობით ადამიანი ჰგმობს ამერიკის მთავრობის აგრესიის აშკარა აქტს და მოითხოვს კორეაში შეიარაღებული ინტერვენციის შეწყვეტას. პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის მოწოდებით 10 ივლისიდან ეწყობა კორეელ ხალხთან აქტიური სოლიდარობის კვირეული. ამ დღეებში უფრო ხმამაღლა გაისმის ყველა ქვეყანაში მილიონთა მრისხანე შეძახილი „ხელები შორს კორეისაგან!".

ჩვენი სოციალისტური სამშობლო ხალხთა შორის მშვიდობისა და თანამშრომლობის ციხე-სიმაგრეა. საყვარელი ბელადისა და მასწავლებლის დიდი სტალინის წინამძღოლობით ჩვენმა ხალხმა ისტორიულ წარმატებებს მიაღწია კომუნისტურ მშენებლობაში. ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის თავისი გმირული ბრძოლით საბჭოთა ადამიანებს ფასდაუდებელი წვლილი შეაქვთ მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

„პრავდის" 10/VII მოწინავე

მშვიდობისადმი ერთგულების მკაფიო დემონსტრაცია

მშვიდობას დავიცავთ

გორი. (საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებში, მტს-ებში, საბჭოთა მეურნეობებში კვლავ დიდი პოლიტიკური აქტივობით მიმდინარეობს სტოკჰოლმის მოწოდებაზე ხელის მოწერა.

სოფელ ხიდისთავის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში გამართულ კრებაზე საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ამხ. ს. ჯანგისურაშვილმა განაცხადა:

— ჩვენ აქ შევიკრიბეთ, რათა ჩვენი ხმა შევუერთოთ მთელი მსოფლიოს უბრალო ადამიანთა ხმას: მოვითხოვოთ მშვიდობა, ატომური იარაღის აკრძალვა და კორეელი ხალხის წინააღმდეგ ამერიკის აგრესიის შეწყვეტა. იმპერიალისტთა კაცთმოძულე გეგმებს განხორციელება არ უწერია, მას ჩაფუშავს ნებისყოფა მშვიდობის მომხრეთა მძლავრი ბანაკისა, რომელიც დღითიდღე იზრდება და ფართოვდება.

ყველა ქვეყნის იმპერიალისტთა გაავთრებულ საომარ მზადებას ვუპასუხოთ მუშაობის გაძლიერებით, მთელი ძალები მივმართოთ მსოფლიოში მშვიდობის ბურჯის — ჩვენი საყვარელი საბჭოთა სამშობლოს შემდგომი განმტკიცებისაკენ.

სტახანოველი კოლმეურნე მ. ტლაშაძე მხურვალედ უჭერს მხარს სტოკჰოლმის მოწოდებას და ამბობს:

— ჩვენ მშვიდობა გვსურს და მას კიდევაც მოვიპოვებთ. უფლებას არ მივცემთ ინგლისელ-ამერიკელ ომის გამჩაღებლებს თავს მოგვახვიონ ახალი სისხლისღვრა და საშინელებანი.

სტოკჰოლმის მოწოდებას ყველა კოლმეურნემ ერთსულოვნად მოაწერა ხელი.

მეშახტეთა ერთსულოვნება

ტყიბული. (საკ. კორ.). ტყიბულელი მეშახტეები ერთსულოვნად უჭერენ მხარს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განცხადებას და მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის პლენუმის რეზოლუციას სტოკჰოლმის სამშვიდობო მოწოდებაზე ხელმოწერის შეგროვების შესახებ.

სტალინის სახელობის შახტის კლუბში გამართულ კრებაზე პარტიის ტყიბულის რაიკომის მდივანმა ამხ. ე. ჯვებენავამ თქვა:

— ჩვენ, საბჭოთა ადამიანები ერთსულოვნად ვუჭერთ მხარს საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკას, რომელიც მიმართულია მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის დამყარებისაკენ. კარგად უნდა იცოდნენ ახალი ომის გამჩაღებლებმა, რომ მშვიდობის მომხრეთა ძალები ომის ძალებზე ძლიერია. ჩვენ თანავუგრძნობთ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ კორეელ ხალხს და მოვითხოვთ თავხედ აგრესორთა ალაგმვას.

— ჩვენ ვცდილობთ, — განაცხადა უბნის უფროსმა ორდენოსანმა პ. ნანიკაშვილმა, — უკეთესი გავხადოთ ჩვენი ცხოვრება. ამისათვის მშვიდობა გვინდა და არა ომი. ომს მხოლოდ ნგრევა და უბედურება მოაქვს კაცობრიობისათვის. ჩვენი მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკას მხურვალედ ვუჭერთ მხარს და მშვიდობის საქმეს თავდადებული შრომით განვამტკიცებთ, გავზრდით ქვანახშირის ამოღების ტემპს, გავადიდებთ შრომის ნაყოფიერებას.

კრებაზე მგზნებარე სიტყვები წარმოთქვეს მეშახტეებმა ლიტვინოვმა, მერინოვმა, ტატარენკომ და სხვებმა.

მეშახტეებმა ერთსულოვნად მოაწერეს ხელი სტოკჰოლმის მოწოდებას.

მანქანათმშენებელთა გადაწყვეტილება

— მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის სტოკჰოლმის მოწოდება მთლიანად შეესაბამება ყველა პატიოსანი ადამიანის საარსებო მოთხოვნას. ამიტომ მივესალმები მშვიდობის ბრძნულ სტალინურ პოლიტიკას და სიხარულით ვაწერ ხელს სტოკჰოლმის მოწოდებას. ჩვენ მოვითხოვთ მშვიდობას, მოვითხოვთ აილაგმოს ომის გამჩაღებლები, შეწყდეს ამერიკელთა აგრესია კორეაში. ჩემს წვლილს მშვიდობის საქმეში გამოვხატავ თავდადებული შრომით ქარხანაში, პირობას ვიძლევი, რომ ყოველდღიურ დავალებას 150 პროცენტით შევასრულებ, — განაცხადა პირველი ამწყობი საამქროს სტახანოველმა ზეინკალმა ვლ. ჯარიაშვილმა თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში შემდგარ მიტინგზე, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განცხადების განხილვას.

—ვიწონებ რა ჩვენი ქვეყნის ბრძნულ სტალინურ საგარეო პოლიტიკას და ხმას ვაძლევ მშვიდობის სასარგებლოდ, — თქვა ქარხნის საექსპერიმენტო საამქროს ზეინკალმა ვ. ხეჩუაშვილმა, — ვეცდები ჩვენი ქვეყნის ძლიერების საქმეში ჩემი წვლილი შევიტანო, უკეთესად ვიმუშავებ, ყოველდღიურ დავალებას 160 პროცენტით შევასრულებ.

მიტინგზე პატრიოტული სიტყვები წარმოთქვეს ქარხნის საექსპერიმენტო საამქროს ოსტატმა ა. კუშნერმა, ამწყობი საამქროს უფროსმა ი. ოსიპოვმა და სტახანოველმა ზეინკალმა შ. ნანობაშვილმა. მათ ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განცხადებას.

ქარხნის კოლექტივმა ერთსულოვნად მოიწონა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განცხადება და გადაწყვიტა უფრო ფართოდ გააჩაღოს სოციალისტური შეჯიბრება 1950 წლის საწარმოო გეგმების ვადამდე შესრულებისათვის.

მშვიდობისათვის, ხალხთა თავისუფლებისათვის

დუშეთი. (საკ. კორ.). რაიონის მშრომელები ერთსულოვნად აწერენ ხელს სტოკჰოლმის მოწოდებას. ფშავში, ხევსურეთში, მთიულეთ-გუდამაყარსა და ბარის სოფლებში, დუშეთის საწარმო-დაწესებულებებში იმართება ხალხმრავალი კრებები, მიძღვნილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განცხადებისადმი მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის მოწოდების გამო.

დუშეთის მტს-ში გამართულ კრებაზე მოწინავე კომბაინერმა ა. ხუბაშვილმა თქვა:

— ჩვენი ქვეყანა მშვიდობის მტკიცე ბურჯია. ჩვენი სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა მიმართულია მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის შენარჩუნებისაკენ, ხალხთა ბედნიერების დამკვიდრებისაკენ. საბჭოთა ხალხი თავისი მთავრობის პოლიტიკას მხურვალედ უჭერს მხარს. ჩვენში არ მოიძებნება ისეთი ადამიანი, რომელსაც მშვიდობა არ სურდეს. თვითეული ჩვენგანის კეთილშობილური მიზანია პატიოსანი, შემოქმედებითი შრომა საბჭოთა სამშობლოს განმტკიცებისათვის, კომუნიზმის აშენებისათვის. ჩვენ არავის უფლებას არ მივცემთ ხელი შეგვიშალოს ამ შრომაში. ჩვენ მკაცრად ვგმობთ ამერიკის მმართველი წრეების აგრესიას კორეელი ხალხის წინააღმდეგ, ვგმობთ ინგლისელ-ამერიკელ იმპერიალისტებს, რომლებიც ცდილობენ თავის გადარჩენის მიზნით ახალი ომის ხანძარში გახვიონ მსოფლიო. ჩვენ რწმენით მივდივართ წინ, დარწმუნებული ვართ, რომ მშვიდობის საქმე გაიმარჯვებს. თვითეული ჩვენგანი უკეთესად იმუშავებს. პირადად მე ვკისრულობ ყოველდღიური დავალება 130 პროცენტით შევასრულო.

მტს-ის კოლექტივმა ერთსულოვნად მოაწერა ხელი სტოკჰოლმის მოწოდებას და ახალი საწარმოო ვალდებულება იკისრა.

მაღალი პოლიტიკური აქტივობით ჩაიარა კრებამ ქაისხევის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში.

სამამულო ომის მონაწილემ კოლმეურნე გ. ინაშვილმა განაცხადა:

— ომის გამჩაღებლები თავიანთი ბინძური ზრახვების განხორციელებას ვერ შეძლებენ. მშვიდობა გაიმარჯვებს ომზე, რადგან მშვიდობისათვის მებრძოლთა სათავეში დგას ჩვენი დიდი საბჭოთა კავშირი, მსოფლიოს მშრომელთა ბელადი და მასწავლებელი ამხანაგი სტალინი.

უკეთესად ვიმუშავებთ

ხაშური. (საკ. კორ.). მშრომელები, ერთსულოვნად აწერენ რა ხელს სტოკჰოლმის მოწოდებას, ამით გამოხატავენ თავიანთ მზადყოფნას — მტკიცედ დაიცვან მშვიდობის საქმე.

ასობით ადამიანი შეიკრიბა ხაშურის საელმავლო დეპოში გამართულ კრებაზე.

— ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ჩვენი სამშობლო მშვიდობის ბურჯია მთელ მსოფლიოში, ჩვენ ვამაყობთ ჩვენი მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკით. მოვიწოდებთ ყველამ უკლებლივ მოვაწეროთ ხელი ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ სტოკჰოლმის მოწოდებას. ხმა მივცეთ მშვიდობას, რადგან მხოლოდ მშვიდობიანი შრომა გვანიჭებს ბედნიერებასა და სიხარულს, — განაცხადა ელექტროსაამქროს ოსტატმა ამხ. გ. მაჩხანელმა.

კრებაზე სიტყვა წარმოთქვეს აწევითი შეკეთების საამქროს ბრიგადირმა ი. მაჩხონაშვილმა, ახალგაზრდა ინჟინერმა თ. ღონღაძემ, პერიოდული შეკეთების საამქროს ოსტატმა ი. ქურდაძემ და სხვებმა.

ერთხმად მიღებული რეზოლუციით დეპოს კოლექტივმა მხურვალედ დაუჭირა მხარი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განცხადებას და მოითხოვა ამერიკის მმართველი წრეების აგრესიის შეწყვეტა კორეაში.

სავაგონო დეპოში გამართულ კრებაზე სიტყვა წარმოთქვა შემდუღებელმა ს. კილასონიამ.

— ინგლისელ-ამერიკელი იმპერიალისტები ომის მუქარას უკვე აღარ სჯერდებიან. ისინი პირდაპირ აგრესიას მიმართავენ; მშრომელთა სისხლით, ახალი ომის გაჩაღებით სურთ მათ გამდიდრება და დაღუპვისაგან თავის გადარჩენა, მაგრამ ანგარიში ეშლებათ! მშვიდობის ძალები შეძლებენ გათავხედებულ აგრესორთა ალაგმვას. მშვიდობისადმი ჩემს ერთგულებას სტახანოვური შრომით გამოვხატავ.

დეპოელებმა ერთსულოვნად მოაწერეს ხელი სტოკჰოლმის მოწოდებას და იკისრეს უკეთესად იმუშაონ ახალი საწარმოო გამარჯვებათა მოსაპოვებლად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

გამოჩენილი ქიმიკოსის, პროფესორ პ. გ. მელიქიშვილის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით და ჩვენი ქვეყნის ქიმიის მეცნიერების განვითარების საქმეში მისი დიდი დამსახურების აღსანიშნავად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაადგინა: დაკმაყოფილებულ იქნას საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის შუამდგომლობა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქიმიის ინსტიტუტისათვის პ. გ. მელიქიშვილის სახელის მიკუთვნების შესახებ.

დაწესდეს პ. გ. მელიქიშვილის სახელობის ერთი პრემია 25 ათასი მანეთის რაოდენობით საუკეთესო ნაშრომისათვის ქიმიის და ფიზიკის მეცნიერებათა დარგში. პრემია მინიჭებულ იქნას ერთხელ ყოველ სამ წელიწადში.

დაწესდეს პ. გ. მელიქიშვილის სახელობის სამი სტიპენდია სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტის ფრიადოსანი სტუდენტებისათვის.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქიმიის ინსტიტუტის „შრომების" მორიგი გამოცემა მიეძღვნას პ. გ. მელიქიშვილის ხსოვნას. (საქინფორმი)

ბელორუსულ ენაზე გამოვიდა ი. ბ. სტალინის ბროშურა „მარქსიზმის შესახებ ენათმეცნიერებაში"

მინსკი, 6 ივლისი. (საკინფორმი). ბელორუსიის სახელმწიფო გამომცემლობამ ცალკე ბროშურად გამოსცა ბელორუსულ ენაზე თარგმნილი სტატია ამხანაგ ი. ბ. სტალინისა „მარქსიზმის შესახებ ენათმეცნიერებაში".

ბროშურა გამოცემულია მასობრივი ტირაჟით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების საყურადღებოდ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების რეგისტრაცია და ცნობების გაცემა წარმოებს ყოველდღე დილის 10 საათიდან საღამოს 10 საათამდე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შენობაში, ოთახი № 14, ტელეფონი № 3-15-43.

წყალტუბოს რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა შეასრულეს აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა

წყალტუბოს რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა 100,1 პროცენტით შეასრულეს აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა. პარკის დამზადება გრძელდება.

ლანჩხუთის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება

ლანჩხუთის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება და სახელმწიფო გეგმის გადამეტებით ჩააბარეს 24.603 კილოგრამი აბრეშუმის პარკი, ნაცვლად ვალდებულებით გათვალისწინებული 10.000 კილოგრამისა.

საქართველოს ქვანახშირის კომბინატმა შეასრულა ივნისის გეგმა

საქართველოს ქვანახშირის კომბინატმა ვადაზე ადრე, 29 ივნისს, შეასრულა ქვანახშირის ამოღების ივნისის გეგმა.

სოციალისტური შრომის გმირები

ნ. თ. ეხვაია

გალის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის აგრონომი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 62 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 95.6 ცენტნერი ხორბლის მოყვანისათვის.

კ. მ. კოსიანი

გაგრის რაიონის კოლმეურნეობა „ბოლშევიკის" ბრიგადირი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 6,7 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 19,1 ცენტნერი „სამსუნის" ჯიშის თამბაქოს მოყვანისათვის.

მ. კ. ამიჩბა

ოჩამჩირის რაიონის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 16,2 ცენტნერი „სამსუნის" № 27 ჯიშის თამბაქოს მოყვანისათვის.

ბრძანებულება
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეთა ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ*

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 24 აპრილისა და 2 ივნისის, 1947 წლის 17 სექტემბრისა და 1949 წლის 20 მაისის ბრძანებულებების შესაბამისად **ხორბლის, სიმინდის, შაქრის ჭარხლის, თამბაქოს, კარტოფილისა და ბამბის** უხვი მოსავლის მოყვანისათვის, როცა კოლმეურნეობებმა შეასრულეს ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სავალდებულო ჩაბარება და კონტრაქტაცია, ნატურსაზღაური მტს-ების 1949 წლის მუშაობისათვის და უზრუნველყოფილი არიან ყველა კულტურის თესლით 1950 წლის საგაზაფხულო თესვისათვის საჭირო ოდენობით, **დაჯილდოებულ იქნან:**

შრომის წითელი დროშის ორდენით

94. **ყუფარაშვილი** იოსებ ალექსანდრეს-ძე — ლაგოდეხის რაიონის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 3,1 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოყვანილია 29,5 ცენტნერი „ტრაპიზონის" ჯიშის თამბაქო.

95. **ლაუშკინი** ბორის ნიკოლოზის-ძე — ლაგოდეხის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 3,5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოყვანილია 24,2 ცენტნერი „ტრაპიზონის" ჯიშის თამბაქო.

96. **მაძღარაშვილი** ალექსანდრე ივანეს-ძე—ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობა „შრომის" მერგოლეური, რომელმაც 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 21,6 ცენტნერი „ტრაპიზონის" ჯიშის თამბაქო.

97. **მამედ** ფარზალი ოღლი — მარნეულის რაიონის „კოლმეურნეობა სოციალიზმის" მერგოლეური, რომელმაც 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 21,6 ცენტნერი „ტრაპიზონის" ჯიშის თამბაქო.

98. **მამედოვი** აივაზ ილიასის-ძე — მარნეულის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლეური, რომელმაც 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 22 ცენტნერი „ტრაპიზონის" ჯიშის თამბაქო.

99. **მანაგაძე** მარო გედეონის ასული—ბოლნისის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 4,2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოყვანილია 32,3 ცენტნერი „ტრაპიზონის" ჯიშის თამბაქო.

100. **მარკოსიანი** არტაშეს მარტიროსის-ძე — წალკის რაიონის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 352,2 ცენტნერი კარტოფილი.

101. **მათარაძე** ექვთიმე პავლეს-ძე—სოხუმის რაიონის ბარათაშვილის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 6,2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 12,2 ცენტნერი „სამსუნის" № 27 ჯიშის თამბაქო.

102. **მათარაძე** მარიამ კონსტანტინეს ასული — სოხუმის რაიონის ბარათაშვილის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოყვანილია 15,3 ცენტნერი „სამსუნის" № 27 ჯიშის თამბაქო.

103. **მათეშვილი** იოსებ ლაზარეს-ძე — ლაგოდეხის რაიონის ჩხუბიანიშვილის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 3,5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოყვანილია 25,6 ცენტნერი „ტრაპიზონის" ჯიშის თამბაქო.

104. **მაჩინკო** პელაგია სტეფანეს ასული — ლაგოდეხის რაიონის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოყვანილია 25,2 ცენტნერი „ტრაპიზონის" ჯიშის თამბაქო.

105. **მგელაძე** ტაშტან ქადირის-ძე—ხულოს რაიონის ჯაფარიძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლეური, რომელმაც 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 19,7 ცენტნერი „ტრაპიზონის" ჯიშის თამბაქო.

106. **მეგრაბიანი** არუთინ არესტაკის-ძე — წალკის რაიონის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 6,2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 351,3 ცენტნერი კარტოფილი.

107. **მეგრაბიანი** ოჰანეზ ვართანის-ძე — წალკის რაიონის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, რომელმაც 15,2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 568,3 ცენტნერი კარტოფილი.

108. **მეგრაბიანი** ოჰანეს ოვსაპის-ძე — წალკის რაიონის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 6,4 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 326,9 ცენტნერი კარტოფილი.

109. **მეგრაბიანი** პეტროს მეგრაბის-ძე — წალკის რაიონის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლეური, რომელმაც 3,1 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 339,7 ცენტნერი კარტოფილი.

110. **მელქონიანი** სალვა ვარტერესის ასული — ბოლნისის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 4,2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოყვანილია 34,3 ცენტნერი „ტრაპიზონის" ჯიშის თამბაქო.

111. **მელქონიანი** შალიკო არტემის-ძე — წალკის რაიონის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლეური, რომელმაც 3,3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 302,6 ცენტნერი კარტოფილი.

112. **მერებაშვილი** იოსებ სტეფანეს-ძე — ლაგოდეხის რაიონის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 3,4 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოყვანილია 32 ცენტნერი „ტრაპიზონის" ჯიშის თამბაქო.

113. **მერებაშვილი** სანდრო ზაქარიას-ძე — ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის" წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 3,3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოყვანილია 28,7 ცენტნერი „ტრაპიზონის" ჯიშის თამბაქო.

114. **მიქაელიანი** ტიგრან მოსესის-ძე — წალკის რაიონის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლეური, რომელმაც 3,6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 320,4 ცენტნერი კარტოფილი.

115. **მიქელაძე** ოთარ გიორგის-ძე—ბოლნისის მტს-ის მექანიკოსი, რომელმაც თავი გამოიჩინა მტს-ში მუშაობისას, რომლის მომსახურების კოლმეურნეობებშიც 700 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოყვანილია 15,3 ცენტნერი ბამბა.

116. **მოვსესიანი** ამაიკ აკინფის-ძე — გულრიფშის რაიონის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლეური, რომელმაც 4 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 12,2 ცენტნერი „სამსუნის" № 27 ჯიშის თამბაქო.

117. **მოსიძე** შირინ ისმაილის-ძე — ხულოს რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლეური, რომელმაც 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 18,3 ცენტნერი „ტრაპიზონის" ჯიშის თამბაქო.

118. **მოსიკიანი** ქეროპ მკრტიჩის-ძე — ახალციხის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი მესაზღვრის" თავმჯდომარე, რომელმაც 12 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 345 ცენტნერი კარტოფილი.

119. **მუსაევა** აგა ოსმან ყზი — ბოლნისის რაიონის კოლმეურნეობა „იგდამის" წევრი, რომელმაც 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 29,1 ცენტნერი „ტრაპიზონის" ჯიშის თამბაქო.

120. **ნაბიევი** საბი უმბათ ოღლი — მარნეულის რაიონის კოლმეურნეობა „ჰამბუზის" მერგოლეური, რომელმაც 6,2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 21,4 ცენტნერი „ტრაპიზონის" ჯიშის თამბაქო.

121. **ნაგერვაძე** გულსერ ჰასანის ასული — ბათუმის რაიონის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოყვანილია 16,3 ცენტნერი „სამსუნის" ჯიშის თამბაქო.

122. **ნაგერვაძე** დონდო მერჯანის ასული — ბათუმის რაიონის კოლმეურნეობა „ავანგარდის" წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოყვანილია 19,5 ცენტნერი „სამსუნის" ჯიშის თამბაქო.

123. **ნაზარეტიანი** ტიგრან ვაღარშაკის-ძე — წალკის რაიონის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 6,2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 309,3 ცენტნერი კარტოფილი.

124. **ნალბანდიანი** მერუჟან ოჰანესის-ძე — წალკის რაიონის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლეური, რომელმაც 3,1 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 339,1 ცენტნერი კარტოფილი.

125. **ნალბანდიანი** რაფიკ ერვანდის-ძე — წალკის რაიონის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლეური, რომელმაც 3,2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 314,3 ცენტნერი კარტოფილი.

126. **ნალბანდიანი** რუბენ აბელის-ძე — წალკის რაიონის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლეური, რომელმაც 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 361 ცენტნერი კარტოფილი.

127. **ნარინდაშვილი** ლიზა დავითის-ძე — ლაგოდეხის რაიონის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 3,4 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოყვანილია 32 ცენტნერი „ტრაპიზონის" ჯიშის თამბაქო.

128. **ნარსია** ალექსანდრა ივანეს ასული — სოხუმის რაიონის მიჩურინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 4,3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოყვანილია 15,5 ცენტნერი „სამსუნის" № 27 ჯიშის თამბაქო.

129. **ოვსეპიანი** ზორკინ ვართანის-ძე — წალკის რაიონის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლეური, რომელმაც 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 341,1 ცენტნერი კარტოფილი.

130. **ოჰანესიანი** ამოტ გრიგოლის-ძე — წალკის რაიონის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, რომელმაც 13,8 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 511,1 ცენტნერი კარტოფილი.

131. **ორუჯევა** აიშა რუსტამ ყზი—ბოლნისის რაიონის კოლმეურნეობა „იგდამის" წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოყვანილია 23 ცენტნერი „ტრაპიზონის" ჯიშის თამბაქო.

132. **ორუჯევი** ზელიმხან ჰამით ოღლი — ბოლნისის რაიონის კოლმეურნეობა „იგდამის" წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოყვანილია 23 ცენტნერი „ტრაპიზონის" ჯიშის თამბაქო.

133. **ოსეპიანი** ევგენია ამბარცუმის ასული—ბოლნისის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 4,2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოყვანილია 32,3 ცენტნერი „ტრაპიზონის" ჯიშის თამბაქო.

134. **პერინსი** ალი ყზი — მარნეულის რაიონის კოლმეურნეობა „სოციალიზმის" წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 4 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოყვანილია 28,1 ცენტნერი „ტრაპიზონის" ჯიშის თამბაქო.

135. **პერინსი** ფამა ყზი—მარნეულის რაიონის კოლმეურნეობა „სოციალიზმის" წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა ბრიგადაში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 8 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოყვანილია 28,1 ცენტნერი „ტრაპიზონის" ჯიშის თამბაქო.

136. **პერტაია** მიხეილ ალექსის-ძე—გულრიფშის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა კოლმეურნეობაში მუშაობისას, სადაც 32 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოყვანილია 22,7 ცენტნერი „სამსუნის" № 27 ჯიშის თამბაქო.

137. **პეტროსიანი** მკრტიჩ ვართანის-ძე—წალკის რაიონის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 6,1 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 365 ცენტნერი კარტოფილი.

138. **ფრუცკიალაძე** ალექსანდრე ევგენის-ძე — ლაგოდეხის რაიონის ძერჟინსკის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლეური, რომელმაც 3,5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 22,3 ცენტნერი „ტრაპიზონის" ჯიშის თამბაქო.

139. **რომანცოვი** ნიკოლოზ ვიქტორის-ძე — ლაგოდეხის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლეური, რომელმაც 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 22,7 ცენტნერი „ტრაპიზონის" ჯიშის თამბაქო.

140. **საააკიანი** ივანე გალუსტის-ძე—წალკის რაიონის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლეური, რომელმაც 3,1 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 345,4 ცენტნერი კარტოფილი.

141. **საააკიანი** სარიბეგ ხაჩატურის-ძე —წალკის რაიონის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 6,3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 328,5 ცენტნერი კარტოფილი.

142. **სადიკოვი** ახმედ მადატ ოღლი —მარნეულის რაიონის კოლმეურნეობა „ენი-იოლის" წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოყვანილია 24,7 ცენტნერი „ტრაპიზონის" ჯიშის თამბაქო.

143. **სადიკოვი** კაჰრამან მასიმ ოღლი —მარნეულის რაიონის კოლმეურნეობა „სოციალიზმის" წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 3,6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოყვანილია 29,1 ცენტნერი „ტრაპიზონის" ჯიშის თამბაქო.

144. **სანამ** მუსა ყზი — მარნეულის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოყვანილია 28,5 ცენტნერი „ტრაპიზონის" ჯიშის თამბაქო.

145. **სარქისიანი** აკოფ მოსესის-ძე—ბოლნისის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 3,5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოყვანილია 28,1 ცენტნერი „ტრაპიზონის" ჯიშის თამბაქო.

146. **სიმონიანი** ანდრონიკ სამუელის-ძე—წალკის რაიონის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის აგრონომი, რომელმაც თავი გამოიჩინა კოლმეურნეობაში მუშაობისას, სადაც 15,2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოყვანილია 568,3 ცენტნერი კარტოფილი.

147. **სიჭინავა** რომანოზ ესტატეს-ძე — გულრიფშის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 7,7 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 13,2 ცენტნერი „სამსუნის" № 27 ჯიშის თამბაქო.

148. **სიჭინავა** შალვა აკესენტის-ძე — გულრიფშის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 3,7 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოყვანილია 14,1 ცენტნერი „სამსუნის" № 27 ჯიშის თამბაქო.

149. **სხანდერაშვილი** გიორგი მოსეს-ძე — ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის" წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა ბრიგადაში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 6,3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოყვანილია 28,7 ცენტნერი „ტრაპიზონის" ჯიშის თამბაქო.

150. **სულეიმანოვი** ალი ისმაილ ოღლი — მარნეულის რაიონის კოლმეურნეობა „ენი-იოლის" მერგოლეური, რომელმაც 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 21,7 ცენტნერი „ტრაპიზონის" ჯიშის თამბაქო.

151. **თამაგარი** გუგული გიორგის-ძე — ბოლნისის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა ბრიგადაში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 7 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოყვანილია 28,1 ცენტნერი „ტრაპიზონის" ჯიშის თამბაქო.

152. **ტაკიძე** დერსუნ იუნუსის-ძე — ხულოს რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 18,2 ცენტნერი „ტრაპიზონის" ჯიშის თამბაქო.

153. **ტარკაშვილი** შალვა იოსების-ძე — ლაგოდეხის რაიონის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 3,4 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოყვანილია 32 ცენტნერი „ტრაპიზონის" ჯიშის თამბაქო.

154. **ტოლსტოვა** მარიამ დანილას ასული — ლაგოდეხის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა ბრიგადაში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 6,5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოყვანილია 24,8 ცენტნერი „ტრაპიზონის" ჯიშის თამბაქო.

155. **ხაზალიშვილი** კეკელა ალექსანდრეს ასული — ლაგოდეხის რაიონის თოდრიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლეური, რომელმაც 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 22 ცენტნერი „ტრაპიზონის" ჯიშის თამბაქო.

156. **ხალილოვა** ნანახანუმ იბრაჰიმ ყზი — ბოლნისის რაიონის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლეური, რომელმაც 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 25,5 ცენტნერი „ტრაპიზონის" ჯიშის თამბაქო.

157. **ხარებაშვილი** ზაქარია ვასილის-ძე — ლაგოდეხის რაიონის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 3,1 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოყვანილია 28,1 ცენტნერი „ტრაპიზონის" ჯიშის თამბაქო.

158. **ხეცურიანი** სოფიო გიორგის ასული — ბოლნისის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 4,2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოყვანილია 28,4 ცენტნერი „ტრაპიზონის" ჯიშის თამბაქო.

159. **ხმალაძე** სირანა მალაქიას ასული — ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის" წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 3,1 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოყვანილია 28,7 ცენტნერი „ტრაპიზონის" ჯიშის თამბაქო.

160. **ხოზრევანიძე** ახმედ ისკენდერის-ძე — ხულოს რაიონის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლეური, რომელმაც 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 18 ცენტნერი „ტრაპიზონის" ჯიშის თამბაქო.

161. **ხოხონიშვილი** ილია მიხეილის-ძე — ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის" წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 3,3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოყვანილია 28,7 ცენტნერი „ტრაპიზონის" ჯიშის თამბაქო.

162. **ხუმარიანი** ოჰანეს არუთის-ძე—წალკის რაიონის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლეური, რომელმაც 3,1 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 327,4 ცენტნერი კარტოფილი.

163. **ხუმა** გიულ მამედ ოღლი — მარნეულის რაიონის კოლმეურნეობა „სოციალიზმის" წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 4 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოყვანილია 28,1 ცენტნერი „ტრაპიზონის" ჯიშის თამბაქო.

(გაგრძელება იქნება)

*) გაგრძელება. იხ. „კომუნისტი" №№ 146, 147.

საბჭოთა მთავრობის ნოტა ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებისადმი ტრიესტის საკითხზე

16 ივნისს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობების საპასუხო ნოტები საბჭოთა მთავრობის 20 აპრილის ნოტაზე ტრიესტის მდგომარეობის შესახებ.

თავიანთ ნოტებში სამი სახელმწიფოს მთავრობებმა თავი აარიდეს პასუხს საბჭოთა მთავრობის აღნიშნულ ნოტაში მოყვანილ წინადადებებზე, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის და საფრანგეთის მხრივ იტალიასთან საზავო ხელშეკრულების დარღვევათა აღკვეთას ტრიესტის საკითხში.

ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ 8 ივლისს ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებს გაუგზავნა საბჭოთა მთავრობის ნოტა.

ქვემოთ მოყვანილია ტექსტი ნოტისა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი.

„ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის საკითხზე ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ამა წლის 16 ივნისის ნოტასთან დაკავშირებით, რომელიც წარმოადგენდა პასუხს საბჭოთა მთავრობის ამა წლის 20 აპრილის ნოტაზე, საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს შემდეგი.

საბჭოთა მთავრობამ 20 აპრილის ნოტაში მოიყვანა ზუსტი ფაქტები, რომლებიც ცხადყოფენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, აგრეთვე საფრანგეთის მთავრობები უხეშად არღვევენ საერთაშორისო ვალდებულებებს, რაც მათ იკისრეს იტალიასთან საზავო ხელშეკრულებით და ნიუ-იორკში 1946 წლის 12 დეკემბერს ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ ხელმოწერილი ოქმით. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობები, მათ მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებათა მიუხედავად, სისტემატურად შლიდნენ ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის გუბერნატორის დანიშვნას. აღნიშნული მთავრობები გუბერნატორის დანიშვნას აბრკოლებდნენ იმ შემთხვევაშიც, როცა საბჭოთა მთავრობა თანხმდებოდა ამ პოსტზე დანიშნული ყოფილიყვნენ შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობების კანდიდატები. საბჭოთა მთავრობის ნოტაში აგრეთვე აღნიშნული იყო, რომ ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის მოსახლეობისათვის იტალიასთან საზავო ხელშეკრულების დადგენილებებით გათვალისწინებული დემოკრატიული უფლებების მინიჭების ნაცვლად, ამ ტერიტორიაზე გამეფებულია პოლიციის თვითნებობა, რაც დამყარებულია ტრიესტში ინგლისელ-ამერიკელ სამხედრო ხელისუფალთა ბატონობის შედეგად. ნოტაში აღნიშნული იყო, რომ მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობების მიზეზით საზავო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მუდმივი სტატუტი, აგრეთვე ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის დროებითი რეჟიმის დებულება დღემდე ძალაში არ არის შესული და შექმნილი არ არის დროებითი სამთავრობო საბჭო. ტრიესტში კვლავ იმყოფებიან ამერიკისა და ინგლისის ჯარები და სამხედრო-საზღვაო ძალები, რის შედეგადაც ტრიესტი უკანონოდ გადაქცეულია ინგლის-ამერიკის სამხედრო-საზღვაო ბაზად და დარღვეულია ტრიესტიდან ინგლის-ამერიკის ჯარების გაყვანის ყველა კანონიერი ვადა.

თავის ნოტაში საბჭოთა მთავრობა მტკიცედ მოითხოვდა შემდეგს:

1. დაუყოვნებლივ შევიდეს ძალაში ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის დროებითი რეჟიმის დებულება.

2. დაუყოვნებლივ დაინიშნოს ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის გუბერნატორი.

3. საზავო ხელშეკრულების პირობების შესაბამისად შეიქმნას ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის დროებითი სამთავრობო საბჭო.

4. განისაზღვროს ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის მუდმივი სტატუტის ძალაში შესვლის თარიღი.

5. ლიკვიდირებულ იქნას ტრიესტში ინგლის-ამერიკის უკანონო სამხედრო-საზღვაო ბაზა.

6. გაყვანილ იქნას ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის ფარგლებიდან ინგლისისა და ამერიკის ჯარები.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ თავი აარიდა საბჭოთა მთავრობის ნოტაში მოყვანილ წინადადებებზე პასუხის გაცემას. უფრო მეტიც, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ახლა აშკარად სთავაზობს საბჭოთა მთავრობას დაარღვიოს საზავო ხელშეკრულების ვალდებულებანი და ამასთან იმოწმებს იმას, რომ მისი 1948 წლის 20 მარტის წინადადება „წარმოადგენდა საბჭოთა მთავრობის მიწვევას მონაწილეობა მიეღო საზავო ხელშეკრულების შეცვლაში". ყველაფერი ეს კეთდება იმ განცხადებათა საფარით, თითქოს საბჭოთა კავშირს პასუხისმგებლობა ეკისრება იტალიასთან საზავო ხელშეკრულების პირობების შესრულების შეუძლებლობისათვის.

საბჭოთა მთავრობა ადასტურებს თავის პოზიციას, რომელიც ჩამოყალიბებულია მისი 20 აპრილის ნოტაში ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის საკითხზე და საჭიროდ მიაჩნია კვლავ აღნიშნოს ის პასუხისმგებლობა, რაც ეკისრება ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას, აგრეთვე დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებს მათ მიერ ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის საკითხში იტალიასთან საზავო ხელშეკრულების დებულებათა შეუსრულებლობისათვის.

საბჭოთა მთავრობა მტკიცედ მოითხოვს იტალიასთან საზავო ხელშეკრულების დებულებათა აუცილებელ შესრულებას და ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის შესახებ იმ ღონისძიებათა განხორციელებას, რომლებიც ჩამოყალიბებულია საბჭოთა მთავრობის 1950 წლის 20 აპრილის ნოტაში".

ანალოგიური ნოტები გაეგზავნა აგრეთვე დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებს.

პოლონეთის რესპუბლიკის მთავრობის ნოტა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი

ვარშავა, 8 ივლისი. (საკდესი). 7 ივლისს პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამერიკის შეერთებული შტატების ვარშავის საელჩოს გაუგზავნა ნოტა, რომელშიც ნათქვამია:

ამა წლის 5 ივლისის № 3 ნოტით ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ საგარეო საქმეთა სამინისტროს აცნობა, რომ შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბრძანება გასცა კორეის სანაპიროს საზღვაო ბლოკადის შესახებ, რაც დაუყოვნებლივ განხორციელდა. როგორც ნოტიდან გამომდინარეობს, შეერთებული შტატები კვლავ ცდილობენ გამოიყენონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ავტორიტეტი თავიანთი იმპერიალისტური პოლიტიკისათვის.

უკვე ამა წლის 29 ივნისის განცხადებაში პოლონეთის მთავრობამ ნათლად განსაზღვრა თავისი პოზიცია კორეის საკითხზე უშიშროების საბჭოს ეგრეთწოდებულ გადაწყვეტილებათა მიმართ, რომლებიც წარმოადგენენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 6 წევრის აზრს, რაც არავისთვის არ არის სავალდებულო. იმის ცდა, რომ ამ გადაწყვეტილებებს მიეცეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს სავალდებულო გადაწყვეტილებათა ხასიათი, წარმოადგენს წესდების დარღვევას და უხეშ ცდას — მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის წინაშე გაამართლოს შეერთებული შტატების თვითნებური აგრესიული პოლიტიკა, მიმართული კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ.

გადაწყვეტილება კორეის სანაპიროს ბლოკადის შესახებ სავსებით ადასტურებს პოლონეთის მთავრობის მიერ მიცემულ შეფასებას. ამ გადაწყვეტილებით შეერთებული შტატების მთავრობა აშკარად აღიარებს თავის აგრესიულ მოქმედებას. ეს გადაწყვეტილება ახალი აგრესიული აქტია კორეელი ხალხის წინააღმდეგ შეერთებული შტატების ომში. შეერთებული შტატების მთავრობამ თავის წინანდელ განცხადებათა საწინააღმდეგოდ, რომ თითქოს იგი კორეელი ხალხისა და მშვიდობის სასარგებლოდ მოქმედებდა, კორეის საზღვაო სანაპიროს ბლოკადის გამოცხადებით აღიარა, რომ მან ომის მდგომარეობა შექმნა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და თავისი დამოუკიდებლობის, თავისუფლებისა და გაერთიანებისათვის მებრძოლ კორეელ ხალხს შორის.

შეერთებული შტატების მთავრობას ახლა სურს, რომ მშვიდობისმოყვარე ხალხებმა და მთავრობებმა დაუდასტურონ ეს აგრესიული მოქმედება, ხოლო ბლოკადის ფაქტის შესახებ ცნობის გამოქვეყნებით სურს მიაღწიოს იმას, რომ ეს ბლოკადა ცნონ. ეჭვი არ არის, რომ ამ ბლოკადის მიზანია აგრეთვე ამერიკის ფლოტის კონტროლი დაამყაროს კორეის ნახევარკუნძულის გარშემო მთელ საზღვაო სივრცეზე და, ამრიგად, ხელი შეუშალოს საქონლის მიწოდებას და ამით ზიანი მიაყენოს სამოქალაქო მოსახლეობას, მის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს.

სრულიად ნათელია, რომ პოლონეთის მთავრობას არ შეუძლია ცნობად მიიღოს ასეთი მოქმედება, რაც ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპებსა და წესდებას, აგრეთვე მშვიდობიანი საერთაშორისო თანამშრომლობისადმი მისწრაფებას. ეს მოქმედება, წინააღმდეგ იმისა, რაც ნათქვამია საელჩოს ნოტაში, მშვიდობის დამყარების მიზნებს კი არ შეუწყობს ხელს, არამედ მხოლოდ გაადიდებს იმ მსხვერპლს, რომელიც კორეელმა ხალხმა თავისუფლებისათვის ბრძოლაში უნდა გაიღოს.

პოლონეთის მთავრობას, ისევე როგორც სხვა დემოკრატიულ მთავრობებს, ეს მოქმედება მიაჩნია არაპროვოცირებულ თავდასხმად და უკანონო ინტერვენციად და გადაჭრით გმობს მას.

დიდი ბულგარელი მწერლის ივანე ვაზოვის დაბადების 100 წლისთავი

სოფია, 9 ივლისი. (საკდესი). ბულგარეთის საზოგადოებრიობამ ზეიმით აღნიშნა ბულგარეთის სახალხო მწერლის ივანე ვაზოვის დაბადების 100 წლისთავი.

გუშინ სოფიის სახალხო თეატრში გაიმართა პოეტის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო, რომელსაც დაესწრნენ ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები, მთავრობის, დიპლომატიური კორპუსის წევრები, სსრ კავშირიდან და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებიდან ჩამოსული სტუმრები, მშრომელთა წარმომადგენლები, მეცნიერების, ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწეები.

ბულგარული ლიტერატურის კლასიკოსისა და საზოგადო მოღვაწის, ბულგარელი და რუსი ხალხების მარადიული და ურღვევი მეგობრობისათვის თანმიმდევრული მებრძოლის ივანე ვაზოვის ცხოვრებისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ტოდორ პავლოვმა.

მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს ვადიმ კოჟევნიკოვმა და სერგი მიხალკოვმა (სსრ კავშირი), სევერინა პოლიაკმა (პოლონეთი), მილან იარიშმა (ჩეხოსლოვაკია) და გეზა კეპეშმა (უნგრეთი).

კრებამ მიიღო მისასალმებელი დეპეშა ამხანაგ სტალინის სახელზე. დეპეშა გაეგზავნა აგრეთვე მშვიდობის დაცვის კორეის კომიტეტს.

გუშინ დაამთავრა მუშაობა ივანე ვაზოვის შემოქმედების შესწავლისადმი მიძღვნილმა ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო სესიამ.

1850—პეტრე გრიგოლის-ძე მელიქიშვილი—1950

დიდი მეცნიერი

დღეს შესრულდა 100 წელი გამოჩენილი ქართველი მეცნიერის პეტრე მელიქიშვილის დაბადებიდან.

პ. მელიქიშვილის სახელს ჩვენ ვიგონებთ დიდი მოკრძალებითა და ღრმა პატივისცემით. მთელი თავისი სიცოცხლე მან ხალხისა და სამშობლოსათვის უანგარო, თავდადებულ სამსახურს მოახმარა. მის სახელთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენი მეცნიერების, კულტურისა და სოფლის მეურნეობის აღორძინება და განვითარება. 70 წლის მოხუცი, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღიდან დგება ახალი ცხოვრების მშენებელთა რიგებში და თავისი დიდი ცოდნითა და გამოცდილებით თვალსაჩინო სამსახურს უწევს ჩვენი რესპუბლიკის წინსვლას.

პეტრე მელიქიშვილი, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი, ოდესის უნივერსიტეტის დამსახურებული პროფესორი, საქართველოს უმაღლესი განათლების კერის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ადამიანი, რომელმაც ქიმიის დარგში კლასიკური შრომებით მოიხვეჭა მსოფლიო სახელი,—დაიბადა 1850 წლის 11 ივლისს თბილისში კულტურულ, მოწინავე ოჯახში. მამა მისი გრიგოლი მუდამ ცდილობდა სამშობლოს და საზოგადოებისათვის სასარგებლო ყოფილიყო, რასაც შვილებსაც უნერგავდა. პეტრეს უფროსი ძმა—სტეფანე მთელი რიგი ჟურნალ-გაზეთების გამომცემელი იყო და პირველი ბეჭდვითი შრიფტის შემქმნი, უმცროსი და კე—საბავშვო ჟურნალ „ჯეჯილის“ მუდმივი თანამშრომელი.

საშუალო განათლება პ. მელიქიშვილმა მიიღო თბილისში ვაჟთა პირველ გიმნაზიაში, რომელიც ბრწყინვალედ დაამთავრა 1868 წელს. უმაღლესი განათლების მისაღებად იგი გაემგზავრა ოდესაში, სადაც შევიდა ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილებაზე. ეს ფაკულტეტი იმ დროს აერთიანებდა დემოკრატიულად განწყობილ მრავალ მეცნიერს, როგორიც იყვნენ ქიმიკოსები: ა. ვერიგო, ნ. სოკოლოვი, ბოტანიკოსი ლ. ცენკოვსკი, ფიზიოლოგი ი. სეჩენოვი, ბიოლოგი ა. კოვალევსკი, ი. მეჩნიკოვი და სხვები. ამავე უნივერსიტეტში უკანასკნელ კურსზე სწავლობდა მომავალი მეცნიერი—ქიმიკოსი ვასილ პეტრიაშვილი, — შემდეგში პეტრე მელიქიშვილის გულითადი მეგობარი და „უფროსი ძმა“, როგორც მას თვითონ უწოდებდა. სტუდენტ მელიქიშვილს არ აკმაყოფილებდა ლექციების მოსმენა მხოლოდ თავისი სპეციალობის დარგში, იგი დროს და შესაძლებლობას პოულობდა მოესმინა საინტერესო ლექციები და მოხსენებები როგორც მოსაზღვრე, ისე უფრო დაშორებული დარგებიდან. მელიქიშვილს აინტერესებდა საქართველოს წარსული, იგი ხშირი სტუმარი იყო პროფესორ ნ. კონდაკოვის ლექციებისა, რომელთა უდიდესი ნაწილი საქართველოს ძველი ძეგლების შესწავლისადმი იყო მიძღვნილი.

პ. მელიქიშვილის მეცნიერული შემოქმედების ნიჭმა ადრე იჩინა თავი. ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს იგი ასრულებს ორ შრომას ორგანულ ქიმიაში, რაც 1873 წელს გამოქვეყნდა. ორი წლის შემდეგ 1875 წელს მას უკვე დამზადებული აქვს გამოსაქვეყნებლად ორი ახალი შრომა ფიზიკური ქიმიის აქტუალურ საკითხზე.

1877 წლიდან მელიქიშვილი კვლავ უბრუნდება ორგანული ქიმიის დარგს, ეწევა ინტენსიურ ექსპერიმენტულ მუშაობას და ემზადება სამაგისტრო გამოცდებისათვის. 1878 წელს აბარებს სამაგისტრო გამოცდებს, იწყებს ძიებას ორგანული ქიმიის მეტად მნიშვნელოვან პრობლემაზე, რაც ეხება ალფა-ბეტა უჯერ-რიგის მჟავების ნაწარმთა შესწავლას. 1881 წელს იცავს დისერტაციას მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: „აკრილმჟავის ნაწარმთა შესახებ“. 1884 წელს ოდესის უნივერსიტეტის პროფესორების — ა. ვერიგოს, ვ. პეტრიაშვილის და კლიმენკოს წარდგენით მას ირჩევენ აგრონომიული ქიმიის კათედრის დოცენტად. 1885 წელს პ. მელიქიშვილი ადგენს სადისერტაციო შრომას თემაზე: „იზომერული კროტონმჟავების ნაწარმთა შესახებ“, რომლის წარმატებითი დაცვა ანიჭებს მას ქიმიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხს. ამავე წელს იგი აირჩიეს აგრონომიული ქიმიის კათედრის პროფესორად, ხოლო 1889 წლიდან წმინდა ქიმიის კათედრის პროფესორია.

პეტრე მელიქიშვილს აქვს 85-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომი, რომლებიც გამოქვეყნებულია როგორც რუსეთის, ისე უცხოეთის ქიმიის ჟურნალებში. ეს ნაშრომები თავის შინაარსით და ხასიათით ფართო და მრავალფეროვანია, უმთავრესად კი ორგანული და არაორგანული ქიმიის საკითხებს შეეხება და დიდი მნიშვნელობა აქვს ქიმიის მეცნიერებისათვის.

პ. მელიქიშვილი დიდ ყურადღებას უთმობდა მის მიერ სინთეზირებული ახალი ნაერთის ანაგობის გარკვევას, მოლეკულის და მასში შემავალ ატომთა მოძრაობის, მათი განვლილი გზის, მათი ცვლილების, მათი ქიმიური ქცევის შესწავლას. ამგვარი საკითხებისადმი ინტერესი იყო არა შემთხვევითი, არამედ ემყარებოდა წინამორბედ ექსპერიმენტულ მასალათა მონაპოვრებს და იმ იდეებსა და თეორიებს, რომლებმაც შემდეგში განაპირობეს ორგანული ქიმიის ბრწყინვალე განვითარება. პირველ რიგში ასეთი თეორია იყო დიდი რუსი მეცნიერის — აკადემიკოს ალექსანდრე მიხეილის-ძე ბუტლეროვის მიერ XIX საუკუნის 60-იან წლებში შექმნილი მოძღვრება ორგანულ ნაერთთა ანაგობის შესახებ. ამ თეორიამ თავის დროზე დიდი სამსახური გაუწია ორგანულ ქიმიაში მატერიალისტურ შეხედულებათა გამარჯვებას და მათ განმტკიცებას.

პ. მელიქიშვილის ძირითადი შრომები მჭიდროდაა დაკავშირებული აგებულების თეორიებთან. გამოკვლევებმა კროტონის, იზოკროტონის, ტიგლინის და ანგელიკის მჟავების შესახებ ბრწყინვალე დადასტურება მისცეს იმ დროისათვის ჯერ კიდევ ახალ გეომეტრიულ იზომერიას. სამაგალითო კვლევის ნიმუშს წარმოადგენდა აგრეთვე ორგანული ქიმიის დარგში ციკლთა ის ნაწილი ძიებისა, რომელიც ეხებოდა ჰალოიდოქსი-მჟავების ნაწარმთა შესწავლას. მათმა შესწავლამ დიდად შეუწყო ხელი მელიქიშვილს მდიდარი მასალა მწყობრ სისტემაში მოეყვანა. პ. მელიქიშვილმა მრავალრიცხოვანი იზომერები შეისწავლა და მათ სტრუქტურის საკითხს ნათელი შუქი მოფინა. გლიციდმჟავებზე გამოკვლევამ ორგანულ ქიმიაში სრულიად ახალი თავი შექმნა.

პ. მელიქიშვილმა ზოგიერთ ნაერთთა სინთეზით ბევრად წინ გაუსწრო ამავე საკითხზე მომუშავე უცხოელ მეცნიერებს, რითაც მაღლა ასწია ოდესის უნივერსიტეტის პრესტიჟი და გამოჩენილი მეცნიერის სახელი მოიხვეჭა.

პ. მელიქიშვილის გამოკვლევების დიდი რიცხვი ეხება არაორგანულ ქიმიას. ეს გამოკვლევები კლასიკურ ნაშრომებადაა აღიარებული. ამ ციკლის გამოკვლევებში მთავარი ადგილი უკავია ზეჟანგების და ზემჟავების შესწავლას. დიდი მნიშვნელობის აღმოჩენად ითვლება პ. მელიქიშვილის მიერ ამონიუმის ზეჟანგის არსებობის წინასწარმეტყველება და შემდგომ მისი მიღება, რამაც დიდი სენსაცია გამოიწვია ქიმიკოსთა წრეებში. უდიდეს ჯილდოს წარმოადგენდა მელიქიშვილისათვის ის შეფასება, რაც ელემენტთა პერიოდული სისტემის ავტორმა დიმიტრი ივანეს-ძე მენდელეევმა ამ გამოკვლევებს მისცა. მან პ. მელიქიშვილს პერიოდული სისტემის განმამტკიცებელი უწოდა, რაც აღნიშნულია მენდელეევის ქიმიის საფუძვლებში.

როგორც დავინახეთ, პ. მელიქიშვილის ნაშრომები ეხებიან პრობლემებს, რომელთა გადაჭრამ ხელი შეუწყო დიდი თეორიული მნიშვნელობის საკითხების გაშუქებას. მაგრამ შეცდომა იქნებოდა პ. მელიქიშვილი წარმოვიდგინოთ როგორც მხოლოდ თეორეტიკოსი მეცნიერი. მისი მესწავლის საგანს შეადგენდა აგრეთვე ის მრავალი საკითხი, რომლებსაც უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა. პირველ რიგში ეს ეკუთვნის სოფლის მეურნეობის საკითხებს—სოფლის მეურნეობის სხვადასხვა პროდუქტთა ქიმიური ბუნების გამოკვლევას, აგრეთვე ანალიზური და ტექნიკური ქიმიის საკითხებს.

პეტრე მელიქიშვილი იყო არა მარტო დიდი მეცნიერი, არამედ შესანიშნავი პედაგოგი-აღმზრდელი, რომელმაც თავისი სკოლა შექმნა. ის იყო დიდი საზოგადო მოღვაწე და თავისი ქვეყნის მგზნებარე პატრიოტი. მას პირადი ცხოვრება არ ჰქონია, მისი ოჯახი იყო მისი მოწაფეები, მისი კერა—ქიმიის ლაბორატორია და კაბინეტი, სადაც ის მთელ დღეებს ატარებდა. პ. მელიქიშვილი იყო აქტიური მონაწილე და მებრძოლი ქალთა უმაღლესი განათლების საქმის მოწყობისა. მას დიდი ამაგი მიუძღვის ოდესაში ქალთა უმაღლესი კურსების დაარსებაში.

გამოჩენილ მეცნიერს უსაზღვროდ უყვარდა ახალგაზრდობა. სტუდენტობას მასზე უფრო ახლობელი მეგობარი არ ჰყოლია. იგი მზად იყო ყოველ წუთში დახმარებოდა მათ. არა ერთმა მისმა ყოფილმა სტუდენტმა, შემდგომ აღევნებდა მეცნიერების ყველა დარგსა და ხელოვნებას, იყო მუსიკის თაყვანისმცემელი, ბუნების დიდი მოყვარული და გატაცებული მოგზაური. მას შემოვლილი ჰქონდა რუსეთის დიდი ნაწილი და ევროპის ღირსშესანიშნავი ადგილები.



როგორც კი საქართველოში უმაღლესი სკოლის შექმნის იმედი დაისახა, პ. მელიქიშვილი გამოეშურა საქართველოში. ის იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი რექტორი. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველივე დღიდან მოხუცი მეცნიერი დგება ახალი ცხოვრების მშენებელთა რიგებში. სად არ ვხვდებოდით ამ დაუღალავ მოღვაწეს და ახალი ცხოვრებისათვის მებრძოლს — განათლებისა და სოფლის მეურნეობის სახალხო კომისარიატებში, წყალთა მეურნეობის სამმართველოში, სტერმინოლოგიო კომისიის სხდომებზე, სამედიცინო და სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებაში... ის აშენებს და აწყობს ახალ ლაბორატორიებს, კაბინეტებს, გუშაგად უდგას სხვადასხვა ახლად გახსნილ უმაღლეს სამედიცინო და სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებს, აწყობს ქიმიის ლაბორატორიას კომუნისტურ უნივერსიტეტში, კითხულობს ლექციებს: არაორგანულ, ორგანულ, ფიზიოლოგიურ და აგრონომიულ ქიმიაში, საძირკველს უყრის სამეცნიერო-კვლევით მუშაობას და თავის მოწაფეებთან ერთად ინტენსიურად შრომობს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა შესწავლისათვის.

საბჭოთა ხელისუფლებამ ღირსეულად შეაფასა პეტრე მელიქიშვილის მოღვაწეობა, მისი დამსახურება მეცნიერებისა და სამშობლოს წინაშე. 1923 წელს თბილისის უნივერსიტეტში დიდი ზეიმით აღნიშნეს მელიქიშვილის მეცნიერული, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლისთავი. სამი წლის შემდეგ 1927 წელს ის აირჩიეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

1927 წელს მარტში პ. მელიქიშვილი ჭრიდა ახლად მიღებულ ქიმიის ჟურნალის მორიგი ნომრის ფურცლებს და შემთხვევით თითი გაიკაწრა. პატარა ჭრილობა შაქრის ავადმყოფობის ნიადაგზე განგრენად გადაიქცა. აუცილებელი გახდა ხელის სასწრაფო ამპუტაცია, მაგრამ პროცესი გართულდა და ოპერაციის რამდენიმე დღის შემდეგ პ. მელიქიშვილი გარდაიცვალა.

მთელი ქართველი ხალხი გლოვობდა ამ მძიმე დანაკლისს. პ. მელიქიშვილის ნეშტი მიიბარა მშობლიურმა მიწამ. იგი განისვენებს მის მიერ შექმნილი უნივერსიტეტის ეზოში.

პ. მელიქიშვილის მარმარილოს ბიუსტი, დადგმული მის საფლავზე, სახით მიმართულია უნივერსიტეტის შესავლისაკენ და ყოველდღიურად მიაცილებს სტუდენტთა მრავალათასიან ნაკადს. იგი მუდამ მათ უმზერს და უსიტყვო მისი ბაგე მარად ინახავს მის საყვარელ სიტყვებს: „ვისწავლოთ, რომ სასარგებლო გავხდეთ ხალხისა და სამშობლოსათვის“.

მადლიერი ქართველი ხალხი წმიდათ ინახავს თავის გულში, მეცნიერის, სამშობლოს სახელოვანი შვილისა და დიდი მოქალაქის ნათელ ხსოვნას.

ნინო ციციშვილი

პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე

უნივერსიტეტის პირველი რექტორი

პეტრე მელიქიშვილის სახელი განუყრელადაა დაკავშირებული ჩვენი უნივერსიტეტის დაარსების ისტორიასთან. ის იყო მისი პირველი რექტორი და ხელმძღვანელი.

მეფის მთავრობა წინააღმდეგი იყო „განაპირა ქვეყნებში“, კერძოდ საქართველოში, უმაღლესი სკოლის დაარსებისა. მას ეშინოდა, რომ ასეთი სკოლა ხელს შეუწყობდა ეროვნული თვითშეგნების გაღვიძებას და გაძლიერებას. როდესაც დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ გაიმარჯვა და საბჭოთა ხელისუფლებამ გამოაცხადა ერთა თვითგამორკვევის უფლება, საქართველოში ადგილობრივმა საუნივერსიტეტო საზოგადოებამ ენერგიულად მოჰკიდა ხელი დიდი ხნის სანუკვარი საქმის განხორციელებას.

უნივერსიტეტის დაარსებას ჩვენში ყველა თანაგრძნობით როდი უყურებდა. მაშინ ამ საქმეს ჰყავდა მოწინააღმდეგენიც, რომელთაც არ სჯეროდათ, რომ ჩვენში უნივერსიტეტი ფეხს მოიდგამდა. ყოველ შემთხვევაში მენშევიკურ მთავრობას ეს საქმე არ მიაჩნდა სახელმწიფოებრივ საქმედ, კერძო პირთა წამოწყებად თვლიდა მას. ამ პირობებში უმნიშვნელო არ იქნებოდა, თუ ვინ ჩაუდგებოდა სათავეში ახლადშექმნილ უნივერსიტეტს. საჭირო იყო ამ საქმისათვის ადამიანი, დიდი მეცნიერული ავტორიტეტით აღჭურვილი და უნივერსიტეტის ცხოვრებაში ღრმად ჩახედული. ასეთი კი იყო პროფესორი პეტრე მელიქიშვილი. არჩევანიც იმაზე შეჩერდა.

როდესაც საუნივერსიტეტო საზოგადოების ერთ-ერთ კრებაზე გამოცხადდა, რომ უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობაზე განზრახულია პროფესორ პეტრე მელიქიშვილის არჩევა, ყველა დამსწრე დიდი აღფრთოვანებით შეხვდა ამ ამბავს.

ნამდვილი ჭაბუკური ენერგიით შეუდგა პეტრე მელიქიშვილი რექტორის თანამდებობაზე მუშაობას. ის იწვოდა ამ საპასუხისმგებლო საქმის შეგნებით. ის ჩვენთან ერთად მხნედ იტანდა ყოველგვარ დაბრკოლებას, რომელიც მაშინდელი აფორიაქებული ცხოვრების პირობებში წინ ეღობებოდა ჩვენს საქმეს. ვის არ უნახავს პეტრე მელიქიშვილი, ახლა მისი სახელობის გამშვენებულ ქუჩაზე, უბრალო ხისაგან გამოჭრილი ჯოხით ხელში, ჩაფიქრებულად მომავალი უნივერსიტეტში წვიმასა და ქარში, სიცხესა და სიცივეში? პროფესორ-მასწავლებელთა კადრების შერჩევა და მოწვევა, სამეცნიერო საკითხების მოგვარება, სტუდენტთა ყოფაცხოვრებისა და მეცადინეობის საკითხები ამ დიდი პატრიოტის მუდმივი ზრუნვის საგანი იყო.

პეტრე მელიქიშვილს დიდად აინტერესებდა ქართულ ენაზე საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოების შექმნა. ერთხელ მას გავაცანით, რომ სიტყვა „ქიმია“ ქართულ მწერლობაში ჯერ კიდევ მეთერთმეტე საუკუნეში გვხვდება; მას თვალები გაუბრწყინდა და თქვა: მაშ ქართული მეცნიერება, რომელსაც შორეულ წარსულში ჰქონია ნიადაგი, უეჭველად გაიმარჯვებსო! და ჩვენმა მეცნიერებამ, საბჭოთა მთავრობისა და პარტიის შეუნელებელი მზრუნველობით, მართლაც დიდ წარმატებას მიაღწია. პეტრე მელიქიშვილს რომ შეეძლოს თავის საფლავიდან, რომელიც უნივერსიტეტის ეზოშია, შეხედვა უნივერსიტეტის კედლებში, მან რომ იცოდეს, რომ ეს უნივერსიტეტი დღეს ერთ-ერთი მოწინავე უნივერსიტეტია საბჭოთა კავშირში, გულდამშვიდებით იტყოდა: „დიახ, ოცნება სინამდვილედ ქცეულა“.

კ. კეკელიძე

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი

შეხვედრები პეტრე მელიქიშვილთან

1912 წლის ივნისში ქალაქ ჟენევაში სამკურნალოდ ჩამოვიდა პეტრე მელიქიშვილი. მე მას პირადად არ ვიცნობდი. თუმცა ორჯერ ოდესით გავლისას დიდი სურვილი მქონდა გავცნობოდი, მაგრამ იგი იმ დროს ქალაქში არ იმყოფებოდა. ერთხელ დილით ლაბორატორიაში შემოვიდა ცნობილი მინერალოგი ლუი დიუპარკი და აღფრთოვანებულმა მითხრა: „გუშინ საღამოს მესტუმრა გამოჩენილი ქიმიკოსი, თქვენი თანამემამულე პეტრე მელიქიშვილი, მეტად სიმპათიური პიროვნება, ხომ იცნობთ მას?..“ მე ვუპასუხე, არ მქონია შემთხვევა პირადად გავცნობოდი-მეთქი. „მაშ იცოდეთ, არსად წახვიდეთ, დღეს 12 საათზე გვესტუმრება და გაგაცნობთ“. იმ დროს მე ლაბორატორიაში ვმუშაობდი სადოქტორო დისერტაციაზე. დანიშნულ დროზე პ. მელიქიშვილი მოვიდა. პროფესორმა ლ. დიუპარკმა გამაცნო ჩვენი სტუმარი, დიდი მეცნიერი. პ. მელიქიშვილი საკმაო ხანს დარჩა იმ წელს ჟენევაში. იგი პროფესორ ლ. დიუპარკის კაბინეტში მუშაობდა და ეცნობოდა პეტროგრაფიაში ახალ მიღწევებს პოლარიზული მიკროსკოპით. მე საშუალება მომეცა ხშირად შევხვედროდი მას, მებაასნა და მიმეღო რჩევა-დარიგება ჩემი მუშაობის შესახებ.

1919 წლის თებერვალში პ. მელიქიშვილს მეორედ შევხვდი თბილისში, ახლა კი დიდი ხნით, რადგან მან მომიწვია საქართველოს უნივერსიტეტში სამუშაოდ. ამან საშუალება მომცა უფრო ახლოს გავცნობოდი ამ დიდი ბუნების ადამიანს, გამეგო ის უანგარო სიყვარული, რომელსაც იგი იჩენდა თავისი ხალხისა და სამშობლოსადმი. რვა წლის მანძილზე ვმუშაობდი ამ დაუღალავ ადამიანთან. მისთვის არ არსებობდა პირადი ცხოვრება. მისი ოჯახი იყო მისი ინიციატივით და ენერგიით შექმნილი ქიმიური ლაბორატორიები. აქ ნახავდით და იგრძნობდით პ. მელიქიშვილის სტუმართმოყვარეობას.

პეტრე მელიქიშვილს ყოველი ჩვენი კულტურული და ეკონომიური წამოწყება ახარებდა. თვით მას ყოველი ახალი საქმე თითქოს კი არ ტვირთავდა, არამედ ხალისს მატებდა. თავის თანამშრომლებს იგი ყოველგვარ დახმარებას უწევდა, უქმნიდა ინიციატივის გამოჩენის შესაძლებლობას, წვრთნიდა და ამზადებდა მომავალ კადრებს.

პროფესორი მ. ბექაია

ახალი საარქივო მასალა

ვ. პეტრიაშვილისა და პ. მელიქიშვილის შესახებ

ოდესის საოლქო სახელმწიფო არქივში აღმოჩენილია გამოუქვეყნებელი დოკუმენტები ჩვენი სამშობლოს გამოჩენილ მეცნიერებზე ვ. მ. პეტრიაშვილსა და პ. გ. მელიქიშვილზე, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდნენ ოდესის უნივერსიტეტში.

იმ დროს, როცა მეფის რუსეთში მეცნიერთა მანტიებში გამოწყობილი რეაქციონერები ხელს უშლიდნენ მშობლიური მეცნიერების განვითარებას, ვ. მ. პეტრიაშვილი და პ. გ. მელიქიშვილი, შთაგონებულნი რევოლუციონერი დემოკრატების იდეებით, გაბედულად იცავდნენ მოწინავე მატერიალისტურ მსოფლმხედველობას. „ნოვოროსიის საიმპერატორო უნივერსიტეტის“ (ასე ეწოდებოდა მაშინ ოფიციალურად ოდესის უნივერსიტეტს) კედლებში პროფესორი ვ. პეტრიაშვილი და პროფესორი პ. მელიქიშვილი ბრძოლას აწარმოებდნენ დასავლეთ ევროპის მეცნიერებისა და კულტურის წინაშე მონური ქედმოხრის წინააღმდეგ, იცავდნენ ჩვენს ქვეყანაში უცხოელებზე ბევრად ადრე გაკეთებულ უმნიშვნელოვანეს აღმოჩენებს.

ამას წინათ ოდესის საოლქო არქივის უფროსმა მეცნიერმა მუშაკებმა ქ. მუხინამ და ე. შჩიგოლმა „ნოვოროსიის უნივერსიტეტის“ ფონდში აღმოაჩინეს დოკუმენტები, რომლებიც მოწმობენ, რომ 45 წლის წინათ—„პასუხად „საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიაში მოკალათებულ, უცხოელებთან შეთანხმებულ მეფის ბიუროკრატ-რეაქციონერთა ხრიკებისა, რაც გამოიხატა დიდი რუსი მეცნიერის დ. ი. მენდელეევის აკადემიის წევრად არჩევის უარყოფაში, აგრეთვე მისი დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავად ოდესის უნივერსიტეტის პროგრესულმა პროფესორებმა ვ. პეტრიაშვილმა, პ. მელიქიშვილმა და პ. პეტრენკო-კრიტჩენკომ 1904 წლის 3 თებერვალს შუამდგომლობა აღძრეს უნივერსიტეტის საბჭოს წინაშე და წინადადება წამოაყენეს, რომ დ. ი. მენდელეევი არჩეული ყოფილიყო უნივერსიტეტის საბჭოს საპატიო წევრად. თავის მოხსენებითს ბარათში ისინი წერდნენ:

„განვლილი საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში მრავალმა ქიმიკოსმა (დიუმამ, პეტენკოფერმა, გმელინმა, გლედსტონმა) უცნაური თანაფარდობა შენიშნა ელემენტთა ატომურ წონათა სიდიდეებს შორის. მაგრამ ამ დარგის ყველა მკვლევარი ფაქტთა ლაბირინთში ხეტიალობდა, რადგან გზის მაჩვენებელი ძაფი არ მოეპოვებოდა. მენდელეევმა ყურადღება მიაქცია არამსგავსი ელემენტების ატომური წონების თანაფარდობას და პირველმა აღმოაჩინა მწყობრი კანონზომიერება ელემენტთა თვისებების შეცვლაში ატომური წონის ზრდის შესაბამისად.

მენდელეევი ელემენტთა ესოდენ ნაყოფიერი პერიოდული სისტემის ერთადერთი შემოქმედია, ვინაიდან მარტოოდენ მან განჭვრიტა გაბედულად და ნათლად, მთელი თავისი მნიშვნელობით პერიოდული კანონი იმ დროს, როცა ზოგიერთი მისი თანამედროვენი (შანკიურტუა, ნიულენდსი, ლოთარ მაიერი) გაუბედავად შესცქეროდნენ მას, რადგან არ ჰქონდათ მნიშვნელოვანი კანონის აღმოჩენის იმედი, ლოთარ მაიერი, მაგალითად, პერიოდული სისტემის შესახებ წერდა: „...მეტად ნაუცბათევი იქნებოდა დადგენილი ატომური წონების შეცვლა ესოდენ არამყვიდრი ამოსავალი პუნქტის საფუძველზეო...“

ამჟამად ელემენტთა პერიოდული სისტემა ერთ-ერთი უვრცელესი განზოგადებაა ქიმიაში. მენდელეევის სისტემას რღვევა არ განუცდია აირადი ნივთიერებების დარგში უკანასკნელი აღმოჩენების მშფოთვარე ნიაღვარში, და ავტორის მსოფლიო სახელი არათუ არ ქრება, არამედ სულ უფრო ელვარედ ბრწყინავს. ამ ფხიზელი და გაბედული მოაზროვნის, რუსეთის მეცნიერების ამ სიამაყის ცხოვრების 70 წლისთავზე პატივი გვაქვს წინადადებით მივმართოთ უნივერსიტეტის საბჭოს თავისი საპატიო წევრების სია დაამშვენოს დიმიტრი ივანეს-ძე მენდელეევის სახელით“.

მრავალი საარქივო დოკუმენტი მოგვითხრობს, თუ როგორ დადგნენ პროფესორი ვ. პეტრიაშვილი და პროფესორი პ. მელიქიშვილი რევოლუციური ხალხის მხარეზე რუსეთის პირველი რევოლუციის (1905-1907) წლებში. მიუხედავად იმისა, რომ შორს იყვნენ პროლეტარულ-რევოლუციური მსოფლმხედველობისაგან, ისინი აღფრთოვანებით მიესალმნენ რუსეთის პირველ რევოლუციას. 1905 წლის ოქტომბრის დღეებში პროფესორი პეტრიაშვილი და პროფესორი მელიქიშვილი სხვა პროგრესულ პროფესორებთან ერთად ხელს უწყობდნენ უნივერსიტეტის აუდიტორიების გამოყენებას მშრომელთა მასობრივი მიტინგებისათვის, ხელს უწყობდნენ მოწინავე სტუდენტობას მონაწილეობა მიეღო მღელვარე რევოლუციურ ამბებში, სასტიკად ილაშქრებდნენ მეფის თვითმპყრობელობისა და მის ადგილობრივ ხელისუფალთა თვითნებობის წინააღმდეგ.

იოსებ პორტნოი

ოდესის საოლქო არქივის უფროსის თანაშემწე

(იბეჭდება ჟურნალ „მეცნიერება და ტექნიკიდან“).

გამოფენა თბილისის უნივერსიტეტში

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკამ მოაწყო გამოჩენილი ქართველი მეცნიერის პეტრე მელიქიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საინტერესო გამოფენა.

გამოფენაზე წარმოდგენილია პ. მელიქიშვილის მეცნიერულ-პედაგოგიური მოღვაწეობის ამსახველი ნაშრომები და დოკუმენტები. გამოფენა გვიჩვენებს, თუ როგორ მუშაობდა გამოჩენილი მეცნიერი-ნოვატორი პ. მელიქიშვილი მეფის რუსეთის ძნელ პირობებში ფრიად მნიშვნელოვან სამეცნიერო პრობლემებზე, მათ შორის ატომგულის შესწავლაზე.

დიდად საინტერესოა გამოფენაზე ექსპონირებული აკადემიკოს ნ. ნ. ბეკეტოვის წერილი ატომურ შენაერთზე პ. გ. მელიქიშვილის ნაშრომთა შესახებ.

ფოტოდოკუმენტებში მეცნიერს ვხედავთ სტუდენტთა შორის ლაბორატორიაში, მეცნიერთა შორის, ოდესის ქალთა უმაღლესი კურსების მსმენელთა შორის, რომლის დაარსების ინიციატორიც იგი იყო.

უკანასკნელი წლების ფოტოსურათები გვიხატავენ მელიქიშვილის მოღვაწეობას საქართველოში.

გამოფენის მნახველთა დიდ ყურადღებას იქცევს დ. ი. მენდელეევის წერილი პ. გ. მელიქიშვილის შესახებ: „უეჭველია, რომ მსგავსი ელემენტები ძალიან ხშირად იძლევა მსგავს ზეჟანგებს,—წერს მენდელეევი,—ზეჟანგთა შესწავლა, როგორც მელიქიშვილის გამოკვლევებმა ცხადყვეს, განამტკიცებს ელემენტთა პერიოდულ სისტემას“.

სპეციალური სტენდი მიძღვნილია პ. მელიქიშვილის, როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი რექტორის, მოღვაწეობისადმი.

საბჭოთა მთავრობამ დიდად დააფასა გამოჩენილი მეცნიერის მოღვაწეობა. პ. მელიქიშვილის მეცნიერული მოღვაწეობის 50 წლისთავი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭომ აღნიშნა დადგენილებით მისი ნაშრომების გამოცემის შესახებ.

გამოფენაზე წარმოდგენილია მასალა, რომელიც გვისურათებს პ. მელიქიშვილის მუშაობას ქართულ ენაზე ახალი სამეცნიერო ტერმინოლოგიის შესადგენად.

ბევრი დოკუმენტია მიძღვნილი მეცნიერის უკანასკნელი წლების ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი. მათ შორის ყურადღებას იქცევს ფოტოსურათები, რომლებშიც პ. მელიქიშვილი გადაღებულია თავის მოწაფეებთან ერთად.

საომარი მოქმედება კორეაში

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 8 ივლისი. (საქდესი). ფხენიანის რადიოს მიერ გადმოცემულ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის 8 ივლისის საღამოს ცნობაში ნათქვამია:

სახალხო არმიის ნაწილები ყველა ფრონტზე განაგრძობენ შეტევას და ათავისუფლებენ ქალაქებსა და სოფლებს.

7 ივლისს ღამით სახალხო არმიის ნაწილებმა გაათავისუფლეს ქალაქი ჩხუნჯუ (ციუსიუ). ქალაქ ჩხუნჯუს განთავისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლებში წამოყვანილია ტყვეები.

სხვა ნაწილები, რომლებიც ქალაქ ფხემთხეკის (ხეიტაკუ) სამხრეთით მოქმედებენ, ბრძოლებს ეწეოდნენ მოწინააღმდეგის ჯარებთან.

სახალხო არმიის ნაწილები განაგრძობენ ამერიკელთა ჯარების დევნას.

ფხენიანი, 8 ივლისი. (საქდესი). კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობით, სახალხო არმიის ჯარები კვლავ უტევენ სამხრეთისაკენ.

6 ივლისს სახალხო არმიის ნაწილებმა გაათავისუფლეს იონვოლის (ნეიეცუს) მაზრის სათემო ცენტრი ჯენჩენი და მისი მომიჯნავე რაიონები და ხელთ იგდეს დიდი დავლა. სხვა ნაწილებმა 6 ივლისს გაანადგურეს ანსონის (ანძიო) რაიონში ამერიკის ჯარების ნაწილები და გაათავისუფლეს სამაზრო ცენტრი ამსონი და მაზრის ყველა რაიონი. ამ ბრძოლებში დიდი ზარალი მიაყენეს ამერიკელთა ჯარებს. ტყვედ წამოიყვანეს ამერიკელი ჯარისკაცები და ოფიცრები და ხელთ იგდეს დავლა.

7 ივლისს სახალხო არმიის ავიაციამ ამერიკის ავიაციის წინააღმდეგ საჰაერო ბრძოლებში ჩამოაგდო „ბ-29" მარკის ორი ბომბდამშენი.

ამერიკის თვითმფრინავებმა ბარბაროსულად დაბომბეს ქალაქ ნამფხოს (ტინამპო) მუშათა დაბები ხინამი (კანკო) და ვონსანი (გენზანი), რის შედეგადაც დაინგრა ბევრი მუშის ბინა. არის მსხვერპლი მოსახლეობაში.

სახალხო არმიის ნაწილებს, რომლებიც შეტევას განაგრძობენ, განთავისუფლებული რაიონების მოსახლეობა მხურვალედ უჭერს მხარს.

ფხენიანი, 9 ივლისი. (საქდესი). ფხენიანის რადიომ დღეს დილით გადასცა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა. ცნობაში აღნიშნულია, რომ სახალხო არმიის ჯარები ყველა ფრონტზე განაგრძობენ შეტევას სამხრეთისაკენ.

სახალხო არმიის ნაწილებმა გაათავისუფლეს ქალაქი ჩხონანი (ტენ'ანი). ტყვედ წამოყვანილია 60 ამერიკელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ჩხონანისათვის ბრძოლებში ჩამოგდებულია 4 თვითმფრინავი.

სხვა ფრონტებზე სახალხო არმიის ავიაციამ და საზენიტო არტილერიამ ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის 8 თვითმფრინავი, მათ შორის ბომბდამშენები „ბ-29".

ფხენიანი, 9 ივლისი. (საქდესი). ფხენიანის რადიომ გადასცა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა, რომელიც დღეს საღამოს გამოქვეყნდა.

ცნობაში აღნიშნულია, რომ სახალხო არმიის ნაწილები, განაგრძობდნენ შეტევას და სდევნიდნენ ლი სინ მანის ჯარებს. სახალხო არმიის ნაწილებმა 8 ივლისს გაათავისუფლეს ქალაქი ჩინჩხონი (ცინსენი) და ახლომახლო სოფლები.

ჩინჩხონისათვის ბრძოლებში სახალხო არმიის ნაწილებმა ხელთ იგდეს დავლა და ტყვეები.

კორეის სახალხო არმიის უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანება

ფხენიანი, 8 ივლისი, (საქდესი). კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის უმაღლესმა მთავარსარდალმა აღნიშნა მესამე და მეოთხე ქვეითი დივიზიების და 105-ე სატანკო ბრიგადის მებრძოლთა და ოფიცერთა დამსახურება, რომლებიც პირველნი შეიჭრნენ სეულში და გმირულად იბრძოდნენ კორეის დედაქალაქის განთავისუფლებისათვის შეტევით ბრძოლებში. მესამე და მეოთხე დივიზიებს და 105-ე ბრიგადიდან გარდაქმნილ სატანკო დივიზიას მიენიჭა სეულის დივიზიის სახელწოდება.

სამხრეთ კორეის არმიის ყოფილი მთავარსარდლის სონ ხო სუნის განცხადება

პეკინი, 8 ივლისი. (საქდესი). კორეის ცენტრალური დეპეშათა სააგენტოს მიერ კორეიდან გადმოცემული ცნობის თანახმად, სამხრეთ კორეის მარიონეტული არმიის ყოფილმა მთავარსარდალმა სონ ხო სუნმა 4 ივლისს სეულში რადიოთი გააკეთა განცხადება, რომელშიც მოუწოდა მარიონეტული არმიის ყველა ოფიცერსა და ჯარისკაცს იარაღი მიაბრუნონ კორეელი ხალხის მოღალატის ლი სინ მანის წინააღმდეგ.

სონ ხო სუნმა განაცხადა: „რა განსხვავებაა დღევანდელ ამერიკელებსა და წინანდელ იაპონელებს შორის? გვსურს თუ არა კვლავ გავხდეთ მონები ამერიკის კოლონიაში? არა, ჩვენ უნდა ვიყოთ სუვერენული სახელმწიფოს ხალხი. თუ თქვენ გიყვართ თქვენი სამშობლო და ხალხი და თუ გაქვთ ეროვნული შეგნება, უნდა დაირაზმოთ და გაილაშქროთ ლი სინ მანის მოღალატური ბანდისა და ამერიკელი აგრესორების წინააღმდეგ და შეუერთდეთ ხალხს, სახალხო არმიასა და პარტიზანთა ძალებს, როგორც ეს მე გავაკეთე".

ახლა მე შევქმენი მოხალისეთა სახალხო არმია. ამ არმიაში შედიან ათასობით მებრძოლნი, რომლებმაც კავშირი გაწყვიტეს მარიონეტულ „ეროვნული თავდაცვის არმიასთან" და გადმოვიდნენ სახალხო არმიისა და პარტიზანთა ძალების მხარეზე. მე მათ სათავეში ვუდგავარ, რათა სახალხო არმიის გვერდით ვიბრძოლოთ ლი სინ მანის ბანდიტების მოსპობისათვის და ამერიკელ დამპყრობთა ჯარების განდევნისათვის ეროვნული ერთიანობისა და დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად.

სამხრეთ კორეის ეგრეთწოდებული „ეროვნული თავდაცვის არმიის" ოფიცრებო და ჯარისკაცებო, მოიშორეთ ამერიკელ აგრესორთა ბორკილი და გადადით ხალხის მხარეზე, რათა დაიცვათ ჩვენი სამშობლო!".

მაკარტურის შტაბის კომუნიკე

ნიუ-იორკი, 8 ივლისი. (საქდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ტოკიოელი კორესპონდენტი იუწყება, მაკარტურის შტაბის კომუნიკეში ნათქვამია, რომ სამხრეთ კორეის ძალები გადაჯგუფდნენ და ჩაებნენ ჩრდილოეთ კორეის ახალ თუ გადაჯგუფებულ დივიზიასთან ბრძოლაში მუგუნის ახლოს, სადაც „დიდი ბრძოლებია".

იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ტოკიოდან გადმოგვცემს, რომ, მაკარტურის შტაბის კომუნიკეს თანახმად, ამერიკის სახმელეთო ძალებმა კორეაში 249 კაცი დაჰკარგეს, აქედან 192 კაცი უგზოუკვლოდ დაიკარგა.

რეიტერის სააგენტო საომარი მოქმედების შესახებ კორეაში

ლონდონი, 8 ივლისი. (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი კორეის ფრონტიდან გადმოგვცემს, 5 ივლისს ჩრდილოეთ კორეის ჯავშანსატანკო და ქვეითმა ჯარებმა, რომლებიც ამერიკელთა ჯარების წინააღმდეგ მოქმედებენ, წაიწიეს თითქმის 30 მილით.

ლონდონი, 8 ივლისი. (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი კორეის ფრონტიდან გადმოგვცემს, ჩრდილოეთ კორეის ჯარებმა დაიკავეს ჩხონანი (ტენ'ანი). ამერიკელთა ჯარებმა დაიხიეს ტეჯონისაკენ (ტაიდენ) მიმავალი მთავარი გზატკეცილისაკენ.

მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის სამდივნოს პასუხი მშვიდობის დაცვის კორეის კომიტეტის მიმართვაზე

პარიზი, 9 ივლისი. (საქდესი). მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის სამდივნომ გამოაქვეყნა მშვიდობის დაცვის კორეის კომიტეტის მიმართვის პასუხი. პასუხში ნათქვამია, რომ მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის სამდივნო აღნიშნავს:

1) ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ პასუხისმგებლობა იკისრა, თავისი სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ჯარებით კორეაში სამხედრო ინტერვენციას რომ ახორციელებს;

2) ამერიკის ავიაცია მასობრივად ბომბავს კორეის სამოქალაქო მოსახლეობას;

3) ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ და სხვა მთავრობებმა ამ ინტერვენციის გასამართლებლად დაარღვიეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, რომლის საფუძველია ხუთი დიდი სახელმწიფოს ერთსულოვნების წესი. ეს მოქმედება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ავტორიტეტის სერიოზული ხელყოფაა;

4) ამ მთავრობებმა, კერძოდ, დაარღვიეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპი, რომლის თანახმადაც კორეის სახალხო მთავრობისათვის უნდა მოესმინათ ყოველი გადაწყვეტილების მიღებამდე;

5) უფრო მეტიც, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ გადაწყვიტა გაეგზავნა ფორმოზაზე თავისი ფლოტი, გაეძლიერებინა თავისი ჯარები ფილიპინებზე და გაეგზავნა სამხედრო მისია ინდო-ჩინეთში. ე. ი. ჩარეულიყო აზიის სამი სხვა ხალხის საქმეებშიც.

მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის სამდივნო ხაზგასმით აღნიშნავს კონფლიქტის გაფართოების მზარდ საფრთხეს. იგი ამხილებს დანაშაულებრივ წინადადებას ატომური ბომბის გამოყენების შესახებ და თავის მხურვალე სიმპათიასა და სოლიდარობას უცხადებს კორეელ ხალხს, რომელიც უცხოელთა ჩარევის წინააღმდეგ ბრძოლაში თავის ეროვნულ ერთიანობას ახორციელებს.

სამდივნო მოითხოვს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ინტერვენციის შეწყვეტას კორეაში, რათა კორეელი ხალხი თავისი ბედის ბატონ-პატრონი იყოს და მიაღწიოს გაერთიანებას, თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

სამდივნო მოუწოდებს მშვიდობის ყველა მომხრეს ყველა ქვეყანაში გააძლიერონ მოქმედება სტოკჰოლმის მოწოდებაზე ხელმოწერის შესაგროვებლად, რომელიც სულ უფრო მეტად ხდება იმის საშუალება, რომ მიღწეულ იქნას დაძაბული საერთაშორისო მდგომარეობის შენელება და მშვიდობა.

პოლონეთსა და კორეის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის დიპლომატიურ წარმომადგენელთა მომავალი გაცვლა

ვარშავა, 8 ივლისი. (საქდესი). როგორც პოლონეთის პრესის სააგენტო იუწყება, პოლონეთის რესპუბლიკის მთავრობამ თავის ელჩს პეკინში ბურგინს დაავალა დაიწყოს მოლაპარაკება კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელთან პოლონეთის რესპუბლიკასა და კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის დიპლომატიურ წარმომადგენელთა გაცვლის შესახებ.

ბერძენთა პროვოკაციები საბერძნეთ-ალბანეთის საზღვარზე

ტირანა, 9 ივლისი. (საქდესი). როგორც ალბანეთის დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ მიხალ პრიფტიმ 7 ივლისს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ტრიუგვე ლის გაუგზავნა წერილი, რომელშიც ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის სახელით პროტესტს აცხადებს ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის 9 აქტის წინააღმდეგ, რაც 9-დან 25 ივნისამდე წინასწარი განზრახვით მოახდინეს ბერძენმა ხელისუფლებმა.

ხელები შორს კორეისაგან!

პოლონელ მშრომელთა პროტესტები ამერიკელთა ინტერვენციის წინააღმდეგ კორეაში

ვარშავა, 9 ივლისი. (საქდესი). პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის მოწოდების პასუხად პოლონეთის პროფკავშირთა ცენტრალურმა საბჭომ დაადგინა 10-დან 17 ივლისამდე ჩაატაროს კორეასთან აქტიური სოლიდარობის კვირეული ლოზუნგით „ხელები შორს კორეისაგან!".

ამჟამად მთელ პოლონეთში ეწყობა მასობრივი კრებები და მიტინგები, რომლებზეც მშრომელები აღშფოთებით გმობენ ამერიკული იმპერიალიზმის აგრესიას კორეაში და მოითხოვენ კორეიდან ამერიკელთა ჯარების გაყვანას.

ავსტრალიელი მეზღვაურები უარს ამბობენ კორეაში სამხედრო მასალის გადაზიდვაზე

ლონდონი, 8 ივლისი. (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს სიდნეელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, ავსტრალიის მეზღვაურთა პროფკავშირის აღმასრულებელმა კომიტეტმა, რომელშიც შედის ავსტრალიელ მეზღვაურთა დიდი უმრავლესობა, მიიღო გადაწყვეტილება არ გადაზიდოს სამხედრო მასალა კორეაში.

ეს გადაწყვეტილება გამოაცხადა მეზღვაურთა პროფკავშირის გენერალურმა მდივანმა ელისტმა, რომელმაც გამოაქვეყნა აგრეთვე პროფკავშირის აღმასრულებელი კომიტეტის რეზოლუცია. რეზოლუცია გმობს „პრემიერ-მინისტრ მენზისის დიქტატორულ გადაწყვეტილებას, რომელმაც ავსტრალიის სამხედრო მეზღვაურებს უბრძანა დაემორჩილონ ამერიკის შეერთებული შტატების ბრძანებებს, უხეშად რომ ერევიან კორეელი ხალხის საშინაო საქმეებში". რეზოლუციაში შემდეგ ნათქვამია, რომ ავსტრალიელი მეზღვაურები გამოვლენ მენზისის გეგმების წინააღმდეგ, რომელთა მიზანია ავსტრალიის გადაქცევა ამერიკის კოლონიად, და აქტიურად იბრძოლებენ იმის წინააღმდეგ, რომ ავსტრალია კორეელთა საქმეებში ჩაერიოს შეიარაღებული ძალების ან სამხედრო მასალის მიწოდების გზით".

ბელგიაში საპროტესტო მიტინგები იმართება ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ კორეაში

ბრიუსელი, 8 ივლისი. (საქდესი). გუშინ ბრიუსელში გაიმართა დიდი საპროტესტო მიტინგი ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ კორეაში. მიტინგი მოაწყვეს ბელგიის დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა. მიტინგის მონაწილეები მოითხოვდნენ ამერიკის ჯარების გაყვანას კორეიდან და სოლიდარობა გამოუცხადეს გმირ კორეელ ხალხს, რომელიც თავისი ქვეყნის თავისუფლებისა და გაერთიანებისათვის იბრძვის ამერიკელი იმპერიალისტებისა და მათი კორეელი დამქაშების წინააღმდეგ.

მიღებულ რეზოლუციაში მიტინგის მონაწილეები აცხადებენ, რომ ბელგიელი ხალხი ნებას არავის მისცემს ჩაითრიონ ბელგია მესამე მსოფლიო ომში. რეზოლუცია ბელგიის მშრომელებს მოუწოდებს უფრო მეტი ენერგიით იბრძოლონ მშვიდობისათვის და ალაგმონ აგრესორი.

კუბის მშრომელთა კონფედერაციის განცხადება

ნიუ-იორკი, 8 ივლისი. (საქდესი). პრენსა კონტინენტალის სააგენტო ჰავანიდან მიღებულ ცნობაში იუწყება, რომ კუბის მშრომელთა კონფედერაციამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც პროტესტს გამოთქვამს მთავრობის ცდის წინააღმდეგ კანონგარეშე გამოაცხადოს სახალხო-სოციალისტური (კომუნისტური) პარტია და კუბის მშრომელთა კონფედერაცია, რომლებიც იბრძვიან მშვიდობისათვის ამერიკის იმპერიალიზმის წინააღმდეგ და რომლებმაც გადაჭრით გაილაშქრეს კორეაში ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის წინააღმდეგ.

„ჩვენ, — ნათქვამია განცხადებაში, — მოვუწოდებთ კუბის ყველა მშრომელს მოითხოვონ კორეაში იმპერიალისტთა სამხედრო ინტერვენციის შეწყვეტა, კორეისათვის იმის შესაძლებლობის მინიჭება, რომ დამოუკიდებლად გადაწყვიტოს თავისი ბედი, მოითხოვონ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია აღარ იყოს შეერთებული შტატებისა და მათი მოკავშირეების იარაღი და კვლავ გახდეს საერთაშორისო ორგანიზაციად, რომელიც მოწოდებულია მშვიდობიანი გზით გადაჭრას კონფლიქტები, მოითხოვონ ატომური ბომბის აკრძალვა და იმ მთავრობის სამხედრო დამნაშავედ გამოცხადება, რომელიც პირველი იხმარს ატომურ ბომბს... ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ აგრეთვე იმის ცდების წინააღმდეგ, რომ კანონგარეშე გამოაცხადონ სახალხო-სოციალისტური პარტია, რომელიც იბრძვის იმპერიალიზმის წინააღმდეგ და ცდილობს დაიცვას კუბის ეროვნული ინტერესები. მშრომელებმა — სხვადასხვა პარტიების წევრებმა ერთად უნდა განაცხადონ პროტესტი სახალხო-სოციალისტური პარტიის კანონგარეშე გამოცხადების განზრახვის წინააღმდეგ".

ტოლიატის გამოსვლა დეპუტატთა პალატაში

რომი, 8 ივლისი. (საქდესი). გუშინ დეპუტატთა პალატაში საგარეო საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტზე დისკუსიის დროს ტოლიატიმ წარმოთქვა სიტყვა კორეის ამბებზე და იტალიის საგარეო პოლიტიკაზე საერთაშორისო მდგომარეობის თვალსაზრისით. ტოლიატიმ მრავალი ფაქტიური მასალის საფუძველზე ამხილა, რომ სამხრეთ კორეის მარიონეტულმა „მთავრობამ" დალესისა და სხვა ამერიკელი ექსპერტების დახმარებით, მოამზადა აგრესია კორეელი ხალხის დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ.

იმ გარდატეხამ, რომელიც მარტ-ივნისის განმავლობაში მოხდა ამერიკის პოლიტიკაში აზიის მიმართ, თქვა ტოლიატიმ, გამოიწვია 25 ივნისის ავანტიურა, რომლითაც დაიწყო ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული პოლიტიკის ახალი ფაზა: მუქარიდან ძალის გამოყენებაზე, „ცივი ომიდან ცხელ ომზე" გადასვლა. ამ გარდატეხასთან ერთად, რაც დაემთხვა ატლანტიკის პაქტის პარიზისა და ლონდონის კონფერენციებს, წარმოებდა გაფართოებული პროვოკაციული პროპაგანდა საბჭოთა კავშირისა და მთელი მსოფლიოს დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ: საკმაოა გავიხსენოთ პროპაგანდა გერმანიის ახალგაზრდობის ბერლინის შეკრების გამო.

ტოლიატიმ ამერიკის პრესის მასალების მიხედვით დაასურათა, თუ რა საშინელი ტერორი იყო გაბატონებული სამხრეთ კორეაში, და ურჩია დე გასპერის შეიტყოს საქმის ვითარება, ვიდრე წინადადებას მისცემდეს იტალიელ ხალხს, რომ სოლიდარობა გამოუცხადოს იმას, რაც ნამდვილად კოლონიური ჩაგვრის სამარცხვინო ფორმას წარმოადგენს. იტალიის მშრომელი დემოკრატების სახელით ტოლიატიმ კორეელ ხალხს უსურვა სრული გამარჯვება ამერიკის რეაქციულ ავანტიურაზე კორეაში. ეს გამარჯვება, თქვა ტოლიატიმ, მნიშვნელოვანი ეტაპი იქნება კაცობრიობის პროგრესში. აზიაში ექსპანსიის ამერიკის პოლიტიკა, რომელიც ტრუმენმა კვლავ გამოაცხადა მიუხედავად იმისა, რომ ეს პოლიტიკა 1949 წელს სასტიკად დამარცხდა ჩინეთში, ზრდის ომის საშიშროებას დასავლეთ ევროპაშიც. ამას ხელს უწყობს იტალიის მთავრობის უპასუხისმგებლობა, როცა, იგი ებღაუჭება ამერიკის ბატონობის პოლიტიკას, რომელსაც დამარცხება უწერია.

საერთაშორისო მდგომარეობა უფრო სერიოზული შეიქმნა, განაგრძო ტოლიატიმ კითხვაზე, შევიდა თუ არა მსოფლიო ომის პერიოდში, ჩვენ ვუპასუხებთ: არა, არ შესულა, რადგან მშვიდობის დიადი გარანტიაა საბჭოთა კავშირის არსებობა და მის ხელმძღვანელთა პოლიტიკა, რომელნიც შეუდრეკელნი არიან ყოველგვარი პროვოკაციის წინაშე. ჩვენ წინათაც ამომწურავად ვუპასუხეთ იმ კითხვაზე, თუ რას გავაკეთებთ მაშინ თუ ომი მაინც დაიწყო. შექმნილ ვითარებაში საჭიროდ მიგვაჩნია ჩვენი მხრივ დავსვათ კითხვა: ხომ არ ფიქრობენ დასავლეთ ევროპის ქვეყნების გაბატონებული ბურჟუაზიული ჯგუფები, რომ დადგა გეზის შეცვლის მომენტი?

ტოლიატიმ იმედი გამოთქვა, რომ, სანამ გვიან არაა, ეს ჯგუფები კაპიტალისტური სამყაროს ახლანდელი უმაგალითო კრიზისისა და დაბნეულობის გავლენით თავიანთი წრიდან გამოყოფენ „ახალ გონიერ ადამიანებს", რომლებიც იტალიის ინტერესებისათვის, საკუთარი ხსნის ინტერესებისათვის ხელს აიღებენ იმაზე, რომ თავიანთი ხალხის სიცოცხლე სასწორზე დადონ ამერიკის ექსპანსიისათვის, ესე იგი ომისათვის. ვიმედოვნებ, ეს ადამიანები შეიგნებენ, რომ ჩვენ ვცდილობთ სამშობლო ვიხსნათ ომის საშინელებისაგან, და შეძლებენ შეგვითანხმდნენ მშვიდობის დასაცავად.

დასასრულ ტოლიატიმ დაგმო კომპარტიის წინააღმდეგ ანტიდემოკრატიულ ღონისძიებათა წაქეზება, რასაც მმართველი წრეების ერთი ნაწილი ეწევა. თუ „მეხუთე კოლონაზე" ვილაპარაკებთ, თქვა ტოლიატიმ მთავრობის მიმართ, მეხუთე კოლონა თქვენა ხართ, რადგან თქვენ გსურთ არა ერის ერთიანობა, არამედ ის, რომ ძირი გამოუთხაროთ მის ერთიანობას!

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პარლამენტის ჯგუფი საფრანგეთის „მთავრობის" კრიზისის შესახებ

პარიზი, 8 ივლისი. (საქდესი). საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პარლამენტის ჯგუფმა გუშინდელ სხდომაზე აღნიშნა, რომ მთავრობის კრიზისი გრძელდება, რადგან მმართველ წრეებს განზრახვა აქვთ თავს მოახვიონ ხალხს პოლიტიკა, რომელიც მას არ სურს. კომუნისტთა ჯგუფი გმობს შეთანხმებებს, რომლებიც საფუძვლებზეც უმრავლესობის პარტიები მოქმედებენ, რათა დაასამარონ ეროვნული წარმომადგენლობა საარჩევნო სისტემის მაქინაციების გზით.

კომუნისტთა ჯგუფს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი დაიცვას მშრომელი მასების კანონიერი მოთხოვნები, დემოკრატიული თავისუფლებანი, ეროვნული დამოუკიდებლობა და მშვიდობა, გადაწყვეტილი აქვს ყოველი ღონე იხმაროს, რათა მიაღწიოს პოლიტიკის შეცვლას ხალხის მოთხოვნების შესაბამისად. კომუნისტთა ჯგუფი თავისი მოქმედების დროს ხელმძღვანელობს ხალხის სულ უფრო მზარდი მისწრაფებით. ხალხს შეუძლია არა მარტო მოსპოს საფრანგეთის შეუფერებელი მთავრობის დაჯგუფებანი, არამედ შექმნას კიდეცა დემოკრატიული ერთიანობის მთავრობა, ხალხის, თავისუფლებისა და მშვიდობის ინტერესთა დამცველი მთავრობა.

საომარი მოქმედება ინდო-ჩინეთში

შანხაი, 8 ივლისი. (საქდესი). როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო გადმოგვცემს, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის მთავარი შტაბის კომუნიკეს თანახმად ივნისის განმავლობაში ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის მოძრავმა ნაწილებმა ხანოის სამხრეთ-აღმოსავლეთით ხაიფონის ნავსადგურში დაწვეს საფრანგეთის სადესანტო გემი და 34 ათასი ლიტრი ბენზინი.

ტაი-ბინის პროვინციაში, 60 მილზე ხანოის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ვიეტნამელმა პარტიზანებმა მოსპეს 30 ფრანგი ჯარისკაცი ვეიუ კიენში და საფრანგეთის საგუშაგო დუკ-დუონგში.

ხანამის პროვინციაში, 30 მილზე ხანოის სამხრეთით, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარებმა მოსპეს საფრანგეთის ასეული.

ნამ-პინის პროვინციაში ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის ჯარებმა მოსპეს საფრანგეთის საგუშაგო ლა-ტანის ახლოს, 50 მილზე ხანის სამხრეთით.

ივნისის დამდეგს ვიეტნამის სახალხო ლაშქრის მეომრებმა რამდენიმე იერიში მიიტანეს ფრანგების მიერ ოკუპირებულ ქალაქ სონგტაის წინააღმდეგ, 25 მილზე ხანოის ჩრდილოეთით.

გასული თვის დამდეგს ცენტრალურ ვიეტნამში ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის ჯარებმა და პარტიზანებმა მოსპეს საფრანგეთის მოტორიზებული კოლონა დონგ-ჰოის ახლოს, 100 მილზე ჰუეს ჩრდილოეთით. ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის სხვა ნაწილებმა უკუაგდეს ფრანგი პარაშუტისტები, რომლებიც საფრანგეთის კოლონის საშველად მიდიოდნენ.

საფრანგეთის მთავრობა ახალ სამხედრო ძალებს გზავნის ინდო-ჩინეთში

ლონდონი, 8 ივლისი. (საქდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ საფრანგეთის გემი „პონტილიარი" 7 ივლისს გავიდა ნავსადგურ ორანიდან (ალჟირი). გემზე ინდო-ჩინეთში გაგზავნილია 800 ფრანგი ჯარისკაცი.

მოგებათა ტირაჟი

ბარნაული, 9 ივლისი. (საქდესი). დღეს აქ შედგა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეოთხე სახელმწიფო სესხის მოგებათა პირველი ტირაჟი.

გათამაშებულია 556.938.800 მანეთის 2.087.250 მოგება.

ლექცია

11 ივლისს, საღამოს 6 საათზე, 26 კომისრის სახელობის კინოთეატრის საზაფხულო დარბაზში შედგება ამხ. **ათარბეგოვის** ლექცია თემაზე: **„სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა".**

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

სსრ კავშირის საავტომობილო და სატრაქტორო მრეწველობის სამინისტროს ქუთაისის ავტომექანიკური ტექნიკუმი აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1950-51 სასწავლო წლისათვის. ტექნიკუმს აქვს ქართული და რუსული სექტორი. ტექნიკუმი ამზადებს:

საწარმოთა ელექტრომოწყობილობის ელექტროტექნიკოსებს, ავტომშენებლობის ტექნიკოს-მექანიკოსებს, ლითონთა ჭრით დამუშავების ტექნიკოს-ტექნოლოგებს, საიარაღო წარმოების ტექნიკოს-ტექნოლოგებს. პირველ და მესამე კურსებზე მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი 14-დან 30 წლამდე ასაკისა, პირველ კურსზე, რომელთაც დამთავრებული აქვთ არასრული საშუალო სკოლა, და მესამე კურსზე — სრული საშუალო სკოლა.

უგამოცდოდ ჩაირიცხებიან: ა) მესამე კურსზე, ვინც სრული საშუალო სკოლა დაამთავრა 1949 და 1950 წლებში, ბ) პირველ კურსზე, ვინც არასრული საშუალო სკოლა დაამთავრა 1949-1950 წლებში ნიშნით „5" ყველა საგანში.

ყველა დანარჩენს ეზნიშნება მისაღები გამოცდები შემდეგ საგნებში: პირველ კურსზე — სსრ კავშირის კონსტიტუციაში, მათემატიკაში, მშობლიურსა და რუსულ ენაში არასრული საშუალო სკოლის პროგრამის მოცულობით და მესამე კურსზე — სსრ კავშირის ხალხთა ისტორიაში, მათემატიკაში, მშობლიურსა და რუსულ ენაში საშუალო სკოლის პროგრამის მოცულობით.

განცხადება მიიღება 10 აგვისტომდე. განცხადებასთან ერთად წარდგენილი უნდა იქნას: ავტობიოგრაფია, განათლების მოწმობა (დედანი), დაბადების მოწმობა (დედანი), ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, სამი ფოტოსურათი (ზომით 3×4 სან.), ცნობა სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების შესახებ.

გამოცდები დაიწყება 10 აგვისტოს, სწავლა — 1 სექტემბერს. პირველი კურსის იმ მსმენელებს, რომელნიც ჩარიცხულნი არიან უგამოცდოდ, ან გამოცდებზე მიღებული აქვთ შეფასება „ოთხი" და „ხუთი", დაენიშნებათ სტიპენდია. მესამე კურსზე უგამოცდოდ ჩარიცხულთ ეზნიშნებათ სტიპენდია იმ შემთხვევაში, თუ საშუალო სკოლა დაამთავრეს ნიშნით „4" და „5", ან მისაღები გამოცდები ჩააბარეს ნიშნით „4" და „5".

ტექნიკუმს აქვს საღამოს განყოფილება, რომელზეც მიიღებიან წარმოების მუშაკები — წარმოებას მოუწყვეტლივ.

ყოველგვარი ცნობის მისაღებად მიმართეთ მიმღებ კომისიას, მისამართი: ქ. ქუთაისი, სტალინის ქუჩა მე-2 ჩიხი, № 3.

მიმღები კომისია მუშაობს ყოველდღე 8 საათიდან 16 საათამდე.

საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

(რადიოსადგურებით 1224 და 49,59 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)

12 ივლისს

7.25 — გადაცემა გლეხობისათვის: „აჭარის სოფლის მეურნეობის მიღწევები". 9.15 — კონცერტი რახმანინოვის ელეგიური ტრიო. 17.20 — კონცერტი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეების დები იმხნელების შესრულებით. 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის რუსულ ენაზე. რადიო-რეპორტაჟი: „ოფიცერთა სახლის პიონერთა ბანაკში". 18.20 — კონცერტი. პროგრამაშია ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები. 19.15 — სიმფონიური მუსიკა. 20.30 — საფორტეპიანო მუსიკის კონცერტი. 20.45 — ლიტერატურული გადაცემა. ივანე გაზოვის მოთხრობა „უპურადო სოფელი". 21.05 — ქართული საოპერო მუსიკა. 21.40 — გადაცემა სამხედრო მოსამსახურეთათვის: „მაღალი პილოტაჟის ფუძემდებელი პეტრე ნიკოლოზის-ძე ნესტეროვი". 22.00 — კონცერტი სამხედრო მოსამსახურეთათვის. 23.00 — პროკოფიევის სუიტა „ზოლუშკას" გადაცემა.

თეატრებში

11 ივლისს: **მუსიკალური კომედიის** — „თბილისის ცის ქვეშ"; **ფილარმონიის საზაფხულო თეატრში** — „თქვენ გიხმობთ ტაიმირი" (მოსკოვის სატირის თეატრის სპექტაკლი).

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი აცხადებს სტუდენტთა მიღებას პირველ კურსზე 1950-51 სასწავლო წლისათვის ქართულ და რუსულ განყოფილებებზე.

ინსტიტუტი ამზადებს უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტებს სასწავლებლებისათვის, სპორტული ორგანიზაციებისათვის და ხელმძღვანელ მუშაკებს ფიზიკური კულტურის კომიტეტებისათვის, უწყებებისა და ორგანიზაციებისათვის.

სწავლების ვადა 4 წელია. ინსტიტუტში მიიღებიან საშუალო განათლების მქონე ჯანმრთელი პირები.

ინსტიტუტში შემსვლელნი მისაღებ გამოცდებს აბარებენ ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი), რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი), ქიმიაში, ფიზიკასა და ფიზიკურ მომზადებაში.

ფიზიკურ მომზადებაში მისაღები გამოცდების ჩაბარებისაგან თავისუფლდებიან „მშთ"-ს მეორე საფეხურის ნიშნოსნები და თანრიგოსნები სპორტის ცალკეული სახის მიხედვით.

აკადემიურად წარჩინებული ყველა სტუდენტი უზრუნველყოფილი იქნება სახელმწიფო სტიპენდიით 295 მანეთიდან 395 მანეთამდე (ფრიადოსნებს ეძლევათ 25%-ით მეტი).

ინსტიტუტში შემსვლელებმა განცხადება უნდა შემოიტანონ ინსტიტუტის დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების თანდართვით:

ა) ავტობიოგრაფია, ბ) საშუალო სასწავლებლის ატესტატი (დედანი), გ) სამი ფოტოსურათი (ზომით 3×4), დ) ცნობა სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების შესახებ, ე) პასპორტი (უნდა წარმოადგინონ პირადად).

სტუდენტები ინსტიტუტში მისვლის დღიდან უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით, სპორტული ტანსაცმლით და სასადილოთი.

სტუდენტები ინსტიტუტში სწავლების ოთხი წლის მანძილზე შეისწავლიან: მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებს, პოლიტეკონომიას, ანატომიას, ზოგად და სპორტულ ფიზიოლოგიას, ზოგად და სპორტულ ფსიქოლოგიას, ჰიგიენას, ადამიანის ფიზიკურ განვითარებას და საექიმო კონტროლს, სამკურნალო ფიზკულტურას და სპორტის მასაჟს, პედაგოგიკის თეორიას და ისტორიას, ფიზიკური აღზრდის თეორიას, სპორტის ცალკე სახეების მიხედვით ტექნიკასა და სწავლების მეთოდიკას. მისაღები გამოცდები — 1-დან 20 აგვისტომდე. მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბერს. საბუთების მიღება წარმოებს ინსტიტუტის სასწავლო ნაწილში ა. წ. 20 ივნისიდან. მისამართი: 300 არაგველის ქუჩა № 2, ტელეფონი 3-81-01.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიისა და სან-ჰიგიენის ფაკულტეტების შინაგან სნეულებათა პროპედევტიკულ-თერაპიული კლინიკა იუწყება აკადემიკოს **ალექსანდრე სტეფანეს-ძე ალადაშვილის** გარდაცვალებას.

მეუღლე სარა, სიდედრი თებრო, ცოლისდა ეთერ კერესელიძეები, სიძე შ. ებელაშვილი, პიძაშვილები შალვა, ქეთო კუჭუხიძეები, შალვა ვაჭრიძე ოჯახებით იუწყებიან **კონსტანტინე ალექსანდრეს-ძე კუჭუხიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 12-VII, 7 ს. გამოსვენება 13-VII, 6 ს., ყიფიანის, 8.

შვილი მარო, სიძე კოლია, შვილიშვილები ლილი, ვახტანგ შენგელიები, და ალათი, ძმა გრიგოლ ბაკურია, რძალი მარიამ, ისიდორე, ოდიშარია იუწყებიან **ქეთევან იაკობის ასულ ბაკურია-ფირცხალავას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 12-VII, 8 ს. გამოსვენება 13-VII, 5½ ს., გორის, 28.

თბილისის გარეუბნის რაიონის ჯანმრთელობის განყოფილების ავჭალის საავადმყოფო პოლიკლინიკის გაერთიანების თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ექიმ არტემ მაკალათიას მისი მეუღლის **დარია ხოლომონის ასულ სამნიაშვილი-მაკალათიას** გარდაცვალების გამო.

დედა მარო, დები ეთერ, მარგო კაპარავები, სიძე ჯიბო ქობალია იუწყებიან **ვენერა ირაკლის ასულ კაპარავას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 13-VII დაბა აბაშაში.

ვ. ბუჯიაშვილი, ფ. ხუციშვილი, ლ. ბუაძე, ქ. გობეჯიშვილი, თ. მაცაბერიძე, ა. ცინცაძე, პ. ტაუგლიხი, შ. ბერიძე, მ. ბენდიაშვილი, ლ. დოლაბერიძე თანაგრძნობას უცხადებენ ნათელა ანთაძეს მისი მამის **იოსებ იოსების-ძე ანთაძის** გარდაცვალების გამო.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი აცხადებს, რომ ა. წ. 29 ივლისს, დღის 12 საათზე, მეცნიერებათა აკადემიის კონფერენც-დარბაზში (ძერჟინსკის ქ. № 8) შედგება ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომა, რომელზეც ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი **გაიანე ვლადიმერის ასული ალიბეგაშვილი** ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„Четыре портрета царицы Тамары".**

ოფიციალური ოპონენტები: სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი-დოქტორი ი. ამირანაშვილი, პროფესორი-დოქტორი **ილია აბულაძე,** მეცნიერებების კანდიდატი **თინათინ ვირსალაძე.**

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (კეცხოველის ქ. № 10).

დედა ოლია, დები ნინო, ვერა, კატო, ძმები ალექსანდრე, სერგო რუხაძეები, სიძეები პ. მარგველაშვილი, ნ. პირმისაშვილი, დისწულები არჩილ, დალი, ელგუჯა იუწყებიან **ქეთო სამსონის ასულ რუხაძე-კობრეიძის** გარდაცვალებას.

მეუღლე ვასილ, შვილი მანანა, დედამთილი, ბაბილინა, ბიძა ამბაკო, ბიცოლა დომნა იუწყებიან **ქეთო სამსონის ასულ რუხაძე-კობრეიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 13-VII ს. დიდ-ჯიხაიშში, ყაზბეგის უბანში.

დათიკო, ლიზა, მარო, ლუბა, ჩიტო, ცუცა, გრიშა, უშანგი, ლამარა კობრეიძეები, ვენატე ლეჟავა იუწყებიან რძლის **ქეთო სამსონის ასულ რუხაძე-კობრეიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 13-VII სოფ. დიდ-ჯიხაიშში.

მშობლები ვენერა და მიხეილ, ძმა ჯემალ, და მზია, დეიდა გუგუშა, დეიდაშვილი ნორა იუწყებიან, რომ 15-VII, 4 ს. ქ. ზუგდიდში დანიშნულია **რეზო მიხეილის-ძე გეთიას** პანაშვიდი.

დედა ელენე, მეუღლე ლოლა, შვილი თამაზ, დები ვარვარა და მარგალიტა, ძმა სევერიანე ოჯახებით იუწყებიან **გიორგი (ჟორჟი) კონსტანტინეს-ძე ჩიჩიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 11-VII, აბაშაში.

თბილისის გარეუბნის რაიონის სამალარიო სადგურის და კლინიკა-დიაგნოსტიკის ლაბორატორიის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ არტემ მაკალათიას მისი მეუღლის **დარო ხოლომონის ასულ მაკალათიას** გარდაცვალების გამო.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, ხამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების—3-81-84, სასოფლო-სამეურნეოსი—3-57-61, სამრეწველო-სატრანსპორტოსა და საბჭოთა მშენებლობისა—3-80-83, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ინფორმაციის და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა — 3-80-84, მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობისა—3-51-81, სტამბის დირექტორისა—3-77-70

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 00476